1924 წ. 7 ნოემბერი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 8 კაპ.

№ 19—20 გაზ. „კომუნისტი"-ს სალიტ.-სამხატვრო ორკვირეული დამატება № 19—20

ოქტომბრის რევოლიუციის გელადი



ვ. ი. ლენინი.

მეოთხე წლის მიჯნაზე.

როცა შვიდი წლის წინათ რუსეთის პროლეტარიატი აჯანყდა, რომ ხელში ჩაეგდო ძალაუფლება, მუშათა კლასის ორგულები და მტრები წინასწარმეტყველობდენ, რომ „გერმანიის მიერ მოსყიდული აგენტების ბატონობა ერთი კვირასაც ვერ გადააცილებს.“

შემდეგ თანდათანობითი იზრდებოდა ბოლშევიზმის და საბჭოთა წესწყობილების ლიკვიდაციის ვადა. კვირეებიდან გადავიდენ თვეზე, თვიდან—რამდენიმე თვეზე, თვეებიდან—„ამ გაზაფხულზე ან იმ შემოდგომაზე“ და საბჭოთა წყობილების დამხობის მოლოდინში და თვეების თვლაში გავიდა შვიდი წელი.

ყველაზე უგნური მომხდარი ამბების შეფასებაში გამოდგა შინაური კონტრ-რევოლიუცია, დაწყებული ესერ-მენშევიკებით და გათავებული კოლჩაკ-ვრანგელით, თორემ საერთაშორისო იმპერიალიზმმა, განსაკუთრებით კი პუანკარე—კლემანსომ ჩქარა მისცეს ბოლშევიზმს და საბჭოთა წყობილებას სიძლიერის და სიმტკიცის ატტესტატი, როცა შეაიარაღეს ჩეხო-სლოვაკიის ლეგიონერები, შავ ზღვაში გამოგზავნეს ძლიერი სამხედრო ფლოტი და საფრანგეთის ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს საბჭოთა კავშირში ინტერვენციებზე ხარჯავდენ.

იმპერიალისტებმა ჩქარა დაინახეს ის, რაც რუსეთის მენშევიკების საზღვარ-გარეთელ ორგანოს „სოციალისტიჩესკი ვესტნიკს“ და საერთოდ მთელ საერთაშორისო მენშევიზმს დღემდის არ შეუნიშნავს—ოქტომბრის რევოლიუციის საერთაშორისო მნიშვნელობა.

ბოლშევიკური საფრთხე, რომელზედაც ასე ბევრს გაჰყვირიან ევროპის ბურჟუაზიული წრეები, ეს არის მსოფლიო მუშათა რევოლიუციის საფრთხე, რომელიც შიშს ზარს გვრის მსოფლიოს დიდსა თუ პატარა იმპერიალისტებს.

და მსოფლიო იმპერიალისტები არა იმიტომ ესხმოდენ თავს ოქტომბრის რევოლიუციას, აწყობდენ შეთქმულებებს სხვა და სხვა ბანდების მეთაურებისა თუ გაკონტრ-რევოლიუციონერებულ ესერ-მენშევიკების საშვალებით, რომ რუსეთს 60 თუ ნაკლები მილიარდი ფრანკი მართებს საფრანგეთის, არამედ იმიტომ რომ მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილზე მუშათა კლასის გამარჯვება, გამარჯვებული მუშათა კლასის მიერ მეურნეობის ფეხზე დაყენება, სასიკვდილო ლახვარის ჩაცემა იქნებოდა მათი საკუთარი ბატონობისათვის.

იმ დროს, როცა თხელკანიანი ინტელიგენტები და წვრილ ბურჟუაზიული სოციალისტები წუწუნებდენ დემოკრატიის ფეხ ქვეშ გათელვაზე, საერთაშორისო ბურჟუაზია უფრო შორს იჭვრიტებოდა. უკანასკნელს არასოდეს არ შეპარვია ეჭვი, რომ გამარჯებული მუშათა კლასი შესძლებს ძალაუფლების გაძღოლას, სახელმწიფოს მოვლა-პატრონობას და ამიტომ იყო, რომ ასე გააფთრებით ესხმოდა თავს მშრომელთა სახელმწიფოს, რათა ხელი შეეშალა ეკონომიური აღმშენებლობისათვის.

მაგრამ რუსეთის მუშათა კლასმა კომუნისტური პარტიისა და ბრძენი შორსმჭვრეტელი ბელადის ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით დაამარცხა შინაური და გარეშე კონტრ-რევოლიუცია.

იმპერიალისტები იძულებული გახდენ ხელი აეღოთ შეიარაღებულ თავდასხმებზე საბჭოთა კავშირის მშრომელი მასების მიმართ, მოეხსნათ ბლოკადა. ზოგმა მათგანმა ამჯობინა ასე თუ ისე ნორმალური ურთიერთობის დამყარება საბჭოთა რესპუბლიკასთან.

და როდესაც საერთაშორისო იმპერიალიზმის უკანასკნელი ცდა—მენშევიკური ავანტიურა საქართველოში ასე სამარცხვინოდ დამთავრდა, ყველაზე შეურიგებელმა ევროპის იმპერიალისტებს შორის—საფრანგეთმა დიდი ხნით არ დააყოვნა და 28 ოქტომბერს ყოველგვარი პირობების გარეშე იცნო საბჭოთა მთავრობა.

საბჭოთა კავშირის მშრომელმა მასებმა ამ შვიდი წლის განმავლობაში არა თუ დაამარცხეს შინაური და გარეშე კონტრ-რევოლიუცია, არამედ გამოიყვანეს ქვეყანა ნგრევისა და სიმშილობის საშინელი პირობებიდან, რომლებიც შექმნეს იმპერიალისტურმა და შემდეგ სამოქალაქო ომმა.

რით აიხსნება მუშათა კლასის მიერ ასეთი უდიდესი გამარჯვების მიღწევა ქვეყნის შიგნით და გარეთ?

იმით, რომ მუშათა კლასმა სწორად გადაჭრა რუსეთის რევოლიუციის ორი უდიდესი საკითხი: გლეხთა და ნაციონალური საკითხი.

გამარჯვებულმა მუშათა კლასმა გლეხობას მისცა მემამულეებისა და სამღვდელოებისათვის ჩამორთმეული მიწა; მიიღო ზომები იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის დროს დაცემული გლეხური მეურნეობის ფეხზე დასაყენებლად, გლეხის მსყიდველობითი უნარიანობის გასადიდებლათ. თუ სწორეთ ერთი წლის წინათ მუშათა კლასსა და გლეხობის შორის ურთიერთობის მთავარ პრობლემას წარმოადგენდა ე. წ. „მაკრატელი“—ფასების განსხვავება ქალაქის ნაწარმოებზე და სოფლის პროდუქტებზე, ე. ი. შექმნილი იყო ისეთი მდგომარეობა, როცა სოფლის ნაწარმოები ჩალის ფასად იყიდებოდა, ქალაქის ნაწარმოები კი ძვირად ფასობდა, რის გამო გლეხი ვერ ახერხებდა ქალაქის ნაწარმოების შეძენას და ქალაქებში აუარებელი საქონელი დაგროვდა, —მუშათა კლასის მიერ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიღებულმა ზომებმა იმდენად გაჯანსაღა სასოფლო მეურნეობა, იმდენათ მოაღონიერა გლეხობა ეკონომიურად, რომ დღეს „მაკრატელის“ პრობლემამ სხვა სახე მიიღო—დღეს ქალაქის მრეწველობა ვერ ასწრებს გლეხობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

ეკონომიური ცხოვრების გაჯანსაღებამ, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ფეხზე დაყენებამ შესაძლებლად გახადა ფინანსიური რეფორმის გატარება, ფასდაკარგული ქაღალდის ფულის ნიშნების ნაცვლად მტკიცე ვალიუტის შემოღება სპილენძის და ვერცხლი ფულების და ჩერვონცების სახით. მომავალ წელს კი ჩვენ გვექნება ოქროს ჩერვონცები. პროცენტულათ რომ შევადაროთ, ომში მონაწილე არც ერთ სახელმწიფოს არ აღუდგენია ასე სწრაფად საწარმოო ძალები, როგორც საბჭოთა კავშირს, რომელმაც გარდა იმპერიალისტური ომისა, სამოქალაქო ომის ქარცეცხლი გამოიარა. გერმანია მხოლოდ ამ უკანასკნელ თვეებში შეუდგა ფინანსიური რეფორმის გატარებას.

საბჭოთა კავშირის მშრომელი მასების მიღწევებს სამეურნეო ფრონტზე ჩვენი შეურიგებელი მტრებიც კი აღიარებენ.

ნაციონალურ საკითხში საბჭოთა ხელისუფლებამ არაჩვეულებრივ გამარჯვებას მიაღწია. მან მოაწყო რუსეთის ყოფილ იმპერიის უზარმაზარ ტერიტორიაზე საბჭოთა რესპუბლიკების დიდი კავშირი; თითეულ ერს, თითეულ ტომს, რომელსაც კი აქვს თავისებური კულტურა, თვისებური ზნე-ჩვეულებები, მიანიჭა საკუთარი ცხოვრების თავისუფლად, საკუთარი სურვილებისამებრ მოწყობის საშუალება, ნივთიერ დახმარებას უწევს ეროვნული კულტურული ცხოვრების აყვავებას. საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალურმა პოლიტიკამ გამოაცოცხლა, აღორძინა მრავალი ერი და ტომი, რომლებსაც თვითმპყრობელობის ძველი, კაცი-ჭამიობის პოლიტიკის წყალობით, არა მარტო კულტურულად, არამედ ფიზიკურად განადგურება მოელოდა.

ყირგიზები, უზბეკები, მორდვა, ზირიანები,—აბა ვის გაუგონია მათ შესახებ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდი; ვის გაუგონია რამე მათი სულიერი ცხოვრების შესახებ!

დღეს ყველა ამ „ინოროდცებს“ საკუთარი მთავრობა აქვთ, საკუთარი შკოლები აქვთ, სადაც მშობლიურ ენაზე იღებენ განათლებას. საბჭოთა ხელისუფლებამ მეცნიერთა კომისიები დანიშნა იმ ეროვნულ ერთეულებისათვის, რომელთაც საკუთარი ანბანი არ ქონებიათ და ანბანი შეადგინა მათთვის, რომ მათი კულტურული წინსვლისათვის შეეწყო ხელი.

შუა აზიაში მცხოვრებმა ერებმა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ამოისუნთქეს თავისუფლად, განთავისუფლდენ ნიკოლოზის გენერლების დამსჯელი ესკპედიციებისაგან, მოაწყვეს საკუთარი სახელმწიფოებრივი ცხოვრება.

შურსა და მტრობას ეროვნებებს შორის ბოლო მოეღო.

წარმატებით დაგვირგვინებულმა აღმშენებლობითი მუშაობამ და ნაციონალურმა პოლიტიკამ მშრომელთა მიერ შექმნილი სახელმწიფო გადააქცია ცენტრად, რომლისკენაც არის მიპყრობილი, როგორც ევროპის მუშათა კლასის, ისე აღმოსავლეთის კოლონიალური ქვეყნების ერების ყურადღება.

ევროპის მუშათა კლასი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში ხედავს ძალას, რომელიც ზურგს გაუმაგრებს და დაეხმარება მას, როცა დაჰკრავს ბურჟუაზიასთან უკანასკნელი სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლის საათი.

აღმოსავლეთის დაჩაგრული ერები საბჭოთა კავშირში ხედავენ ქომაგს, მათ ერთგულ მეგობარს, რომელმაც პრაქტიკულად, საქმით დაანახვა მათ, თუ როგორ წყობილებას დაამყარებს გამარჯვებული მუშათა კლასი, როგორ მოაწყობს ის ერების ცხოვრებას.

კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებს, მუშათა კლასის რევოლიუციონური მოძრაობა ევროპაში დაუკავშირა აღმოსავლეთის ერების განმათავისუფლებელ მოძრაობას და ამით გაამაგრა ოქტომბრის რევოლიუციის პოზიციები.

სმერთაშორისო ბურჟუაზია უკვე ვეღარ ბედავს აშკარა თავდასხმების მოწყობას საბჭოთა კავშირზე, რადგან ამას მოყვება რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერება ევროპაში და ნაციონალურ-განმანთავისუფლებელის—კოლონიებში.

ეკონომიურ აღორძინებასთან ერთად, რიცხვობრივად იზრდება და ფიზიკურად ჯანსაღდება საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი. შრომის ხელფასის ზრდამ საშვალება მისცა ჩვენი კავშირის მუშას დააკმაყოფილოს თავისი ყველა მოთხოვნილებები.

გაზეთი, თეატრი და სხვა გასართობი აუცილებელი ნაწილი გახდა მუშის ცხოვრების.

გამარჯვებული მუშათა კლასი ეკონომიური პოზიციების დაპყრობის შემდეგ იპყრობს კულტურულ პოზიციებს. მუშათა კლასის კულტურული მოთხოვნილებები გაიზარდა და ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, კულტურული პოზიციების სავსებით დაპყრობა, არის ოქტომბრის რევოლიუციის მერვე წლის ამოცანა.

ეს პოზიციები დაპყრობილი იქნება. ამის თავდებია საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიური და პოლიტიკური სიმტკიცე, რამაც ინტელიგენციაში, რომლის უმრავლესობა დღემდი მტრულად უყურებდა საბჭოთა ხელისუფლებას, კულტურულ საბოტაჟს წარმოებდა, საბჭოთა ხელისუფლებისაკენ პირის მობრუნება გამოიწვია.

ე. წ.

ოცდაზუთი ოქტომბერი

(მოთხრობა)

I. პურის რიგში.

ზამთარია. ჰყინავს.

უზარმაზარი ქალაქი და მისი არე-მარე თოვლს დაუფარავს, თითქო თეთრ სუდარაში გახვეულაო.

ჯვარედინ ქუჩებზე დანთებულ კოკონებს ტკაცა-ტკუცი გააქვს.

პურის დუქნებთან გრძელი რიგები დგას, ორიოდე გირვანქა პურის მოლოდინში.

რიგებში დგანან ქარხნებში მომუშავეთა და ომში გაყვანილ მუშათა ცოლები, დედები. ერთმანეთს ლაპარაკით ართობენ, რომ დრო მალე გავიდეს; თან ტოკავენ, რომ სიცივისაგან დამზრალი ფეხები ცოტათი მაინც შეითბონ.

ყველაზე გრძელი რიგი აკადემიის შესახვევთან მყოფ პურის დუქანთან დგას. რიგის ბოლო დიდ პროსპექტამდეა გაჭიმული.

ვინ არა დგას ამ რიგშია—მუშა, ხელოსანი, მეეტლე, მეგაზეთე, მეეზოვე.

სტამბის მუშა კირილე და მისი მეზობელი ზეინკალი ვასილაც აქ არიან, ორივენი ერთად დგანან.

კირილეს პალტოს მაგიერ რაღაც მოკლე ტყაპუში აცვია, ფეხთ უშველებელი ჯარისკაცის ფეხსაცმელი, თავზე კი ძაღლის ტყავის ქუდი ჩამოუფხატია ყურებამდე, ხოლო ხელებს დაგლეჯილი ხელთათმანები ნახევრადაც ვერ ჰფარავს სიცივისაგან.

ხელებს მალმალე იორთქლავს, ფეხებს დააცუპუნებს, ცუნცრუკებს განუწყვეტლივ.

ვასილას აცვია დაბამბული შარვალი, თხელი, ძალზე გახუნებული პიჯაკი, მოკლე ყელიანი პირდაღებული ჩექმები, თავზე წითელ კანტებიანი ქუდი ჰხურავს და ყელზედაც ყელსახვევის მაგიერ რაღაც ძონძი მოუხვევია.

— კირილე, მაგ შენ ქათიბს არ გაჰყიდი?—დაცინვით უთხრა ვასილამ.

— არა. ჯერ არ გავყიდი,—მიუგო კირილემ.

— მაშ როდის გაჰყიდი?

— როცა შენ გაჰყიდი შენს ყელსახვევს, მაშინ მეც ჩემს ქათიბს გავყიდი.

ვასილამ ღიმილით ახედ-დახედა კირილეს და განაგრძო:

— ხუმრობა ხუმრობაა და შენ მართლა კარგი ქათიბი გაქვს აი!

— შე სულელო, ეს ქათიბი სახსოვარია; ჩემს პაპას შისმა პაპამ მოუტანა საჩუქრად საფრანგეთიდან; ექვსი თაობა უკვე გამოიცვალა ამ ქათიბმა, შენ რა გგონია!

— ვინ იცის მაგ ქათიბს პეტრე დიდიც კი უნახავს.

— პეტრე დიდიც უნახავს და ივანე მრისხანეც... ივანე მრისხანე რომ დაიბადა, სწორედ იმ წელს შეჰკერა ეს ქათიბი პარიზის ერთმა ცნობილმა მკერვალმა.

— მაშ, მაშ! განა ზედ არ ეტყობა, რომ პარიჟშია შეკერილი... აბა აქ მაგისთანას ვინ შეჰკერავდა?!—სთქვა ვასილამ და ღიმილით ათვალიერებდა თავის თანამოსაუბრეს, რაღაცაც იგონებდა.

კირილე ცოტა განზე გავიდა, აათვალიერ-ჩაათვალიერა ვასილა, გულიანად გადიხარხარა და სთქვა:

— ეს რა ფასონის კაცია?!

— არაუშავს, სიღარიბე სათაკილო არ არის, —უპასუხა ვასილამ,—აი, დღეს საღამოზე ქორწილში მივდივარ და ეგ შენი ტყაპუში... უკაცრავოდ, ტყაპუში კი არა, ქათიბი მათხოვე.

— შენ ის მითხარი, შენს ჩექმებს პირი რად გაუღია?

— პური შიან; შენ რომ გშიოდეს პური, შენც ასე დაადებდი პირს.

— მე მშიან პური, მაგრამ პირი ღია არ მაქვს, ხომ ხედავ...

— შენ მაგას ტყუილს ამბობ, არ დაგიჯერებ... აბა ახლანდელს დროში კაცს პური მოშივა?

— ნუ დამიჯერებ, შენი ნებაა... ექვს საათზე მოვსულვარ აქ, ახლა კი ცხრა საათია; იქნება ორი საათი კიდევ გაჩერდეთ, ეს შენი ხუთი საითი. ამ ყინვაში ხუთი საათი იმიტომ ვდგევარ, რომ არ მშიან!...

— პური მოაქვთ, პური!—დაიძახა ვილაცამ და ქუჩის ბოლოზე გამოჩნდა ჯაგვი, დიდრონი პურებით დატვირთული.

რიგში მდგომთ სიხარულის ჟრიამული შექმნეს.

ჩვენი კირილე და ვასილაც გამხიარულდნენ.

— აი, ახლა აღარ მშიან,—სთქვა გახარებულმა კირილემ,—პურები რომ დავინახე, გავძეხი...

— არა, ჩემო კარგო, თუ გშიან, პურის ნახვით ვერ გაძღები,—მიუგო იქვე მდგომმა უცნობმა მუშამ.

— არა, ამხანაგო, მე როცა პურს ვხედავ, მაშინვე ვძღები. სხვა რამეშიც ეგრე ვარ, აი, მაგალითად, როცა ხორცი შინდა, ჩამოვუვლი ყასაბხანას, შევხედავ ხორცს და ბორჩა, გავძეხი ხორცით, აღარ მინდა!—ხუმბრობდა კირილე.

— ყასაბხანაში, მე ვიცი, იქაც ჩალაღჯები ჰკიდია,—ჩაიცინა უცნობმა:—თითონ ყასაპებს ენატრებათ ხორცის ნაპერი... ასეთი დროა ახლა.

— საკვირველია, რა იქნა იმდენი პური და სანოვაგე, წინად რომ იყო?—იკითხა ვასილამ.

— ბურჟუებმა სპამეს, —უპასუხა კირილემ.

— ეგ ბურჟუები მალე ჩვენც შეგვქამენ!—წამოიძახა ვასილამ:— იძახიან ომი ბოლოდეო!

— რატომ არ იძახებენ, რას ჰკარგავენ, თითონ ხომ არ ომობენ, შენისთანა სულელებს აომებენ...

— როგორ?

— როგორ და ისე... ზოგცეშენ ხელში თოფს და, ჰაიდა, გაგიგდებენ წინ... დასტოვე აქ უპატრონოდ შენი ცოლ-შვილი და შენ კი წადი გერმანიაში, იომე... რადა? რისთვის? ვინ ხარ? ვის ეომები?—ხმამაღლა წამოიძახა კირილემ.

უცნობმა მუშამ ფრთხილად ხელი წაჰკრა.

— ამხანაგო, ცოტა ნელა!—უთხრა მან:—ვილაცას ჩაუვარდება ყურში და, ხომ იცი, სიკეთეს ვერ ნახავ!..

— თორემ ახლა დიდ სიკეთეში ვართ!—წამოიძახა უკმაყოფილოდ კირილემ:—რა არის, რა ცხოვრებაა ჩვენი ცხოვრება—მეპურესთან მიხვალ, პური არ არის, ყასაბთან მიხვალ, ხორცი არ არის, მეწვანილესთან მიხვალ, მწვანილი არ არის, გაწყდა ყველაფერი!.. იმის მაგიერ, რომ მე ახლა ვმუშაობდე, აქ ვაყუდივარ ტელეგრაფის ბოძივით და ველი რაღაც ორ გირვანქა პურს; მივალ სტამბაში და იქაც ლაპარაკი და უკმაყოფილება ადმინისტრაციისა: რად დაიგვიანე, სად იყავი, ეს ასე, ეს ისე... ფუ!..

— შენ ყველაფერში მართალი ხარ, ძმობილო, მაგრამ ერთში კი სტყუი,—უთხრა ვასილამ.

— რაში ვტყუი?

— შენ იძახი— ტელეგრაფის ბოძივით ვაყუდივარო, აბა უყურე ბოძს,—უჩვენა პირდაპირ ბოძზე,—რა წყნარადა დგას, შენ კი დილის ექვს საათს აქეთია დაცუნცრუკებ... ტელეგრაფის ბოძებმა რომ შენსავით იცუნცრუკონ, მაშინ ხომ მავთულები დაწყდებოდა მთლად? ამასთან ძალიან სასაცილოც იქნებოდა!

— შენ ხუმრობის გუნებაზე ხარ და მე კი არ მკითხავ!..

— შენ რაღა უნდა გკითხო,—სიცილით უთხრა ვასილამ,—შენც იხუმრე; თუ კი დილას აქეთია ხუმრობ, ახლა რაღა დაგემართა?

— ახლა ხასიათი გამომეცვალა, აღარ ვარ ხუმრობის გუნებაზე, თავი დამანებე...

— მაშ რის გუნებაზე ხარ?

— იმის გუნებაზე ვარ, რომ ერთი შაგრა თავში წამოგკრა...

— მალმალე სთქვი, არ დაგავიწყდეს!—უთხრა ვასილამ და გულიანად გადიხარხარა:—ახლა მე აღარ მკითხავ, როგორი წამოკერა ვიცი!

— ჩემიმეს [illegible] პორი აშამ. პირი მოკომონ!— [illegible] ოა [illegible] ერთ წამს [illegible]

— [illegible] *) წამოვიდა,—დაიძახა უცნობმა [illegible]

[illegible] ოიოი [illegible] [illegible] [illegible]

იეში, სასადილოში, ერთი სიტყვით, სადაც შეიძლებოდა ჯარისკაცის მუშასთან შეხვედრა, არსად გვიშვებდნენ, რომ ჩვენ ერთმანეთი გაგვეცნო, ერთმანეთის ამბავი გვცოდნოდა და ერთმანეთს დავაახლოვებოდით... ისე მოგვიხერხეს, რომ ისინი მუშები არიან და ჩვენ კი ჯარისკაცები; თითქო ასე ჯარისკაცებად ვიყოთ დაბადებულნი, თითქო ჩვენ იგივე მუშები არა ვართ. დროა გონს მოვიდეთ; დროა გავიგოთ ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ ჩვენც მუშები ვართ, მუშის შვილები, და მუშებთან ერთად უნდა ვიყოთ ჭირში და ლხინში!—დაათავა ორატორმა თავისი მოკლე სიტყვა, რომელსაც მოჰყვა მქუხარე ტაში.

— ძმებო, მეგობრებო!—დაიწყო მეორე ჯარისკაცმა:—მე მქონდა ბედნიერება ახლა ამ წამში ჩემი ამხანაგის, ჩემსავით ჯარისკაცის, ჩემსავით მუშათა წიაღიდან გამოსულის, წრფელი სიტყვები მომესმინა... მამაჩემი იყო სოფლის მუშა, დედაჩემი იყო ფაბრიკის მუშა და მუშაობის დროს ფაბრიკაშივე დალია სული, და მეც მუშა ვარ, ძალით მოცილებული ქარხნის დაზგას... რასაკვირველია, არც თქვენ ხართ ღენერლების და ბურჟუების შვილები, თქვენც ჩემსავით მშიერი მუშები ხართ... ვინ იტყვის თქვენგანი, რომ თქვენი მამა, თქვენი დედა მუშები არ იყვნენ, რომ ისინი მძიმე შრომით არ შოულობდნენ დღიურ საზრდოს?

— არავინ! არავინ!—მიაყარეს პასუხად.

— მაშ თუ აგრეა,—განაგრძო ორატორმა,—რად უნდა იყოს ჩვენსა და მუშებს შორის უფსკრული? რად უნდა ვიჩეხებოდეთ ჩვენ ამ უფსკრულში? ეს უფსკრული ხელოვნურად არის შექნილი ჩვენი მთავრობისაგან, რომ ჯარისკაცი მუშას დააშოროს, მაგრამ ჩვენ უნდა მოვსპოთ ეს უფსკრული, ხიდი უნდა გავდოთ მასზე და თავისუფლად ვიაროთ ერთმანეთთან... ჩვენ უნდა ვიყოთ ერთად, ერთად უნდა ვწიოთ ჩვენი ცხოვრების ჭაპანი და საერთო ძალით უნდა შევქნათ ჩვენი საკუთარი კეთილდღეობა!.. ზიზღი მათ, ვინც ჩვენ ერთმანეთს გვაშორებდა დღემდე!— დაათავა სიტყვა მქუხარე ტაშის ცემაში.

— ამხანაგებო!—უცებ დაიძახა კირილემ, რომელიც აქამდე უძრავად იდგა და აღტაცებით ისმენდა ორივე ორატორის სიტყვებს:—იმ დღიდან, რა დღიდანაც თქვენ შეიგნეთ, რომ თქვენც ისეთივე მუშები ხართ, როგორიც ჩვენ ვართ, ჩვენს შორის უფსკრული აღარ არსებობს, ეს უფსკრული უკვე გამოვსებულია, ორივე ნაპირი უფსკრულისა გაერთიანებულია და ჩვენც დაუბრკოლებლივ დავდივართ მასზე! აი, პირველი მე გავივლი ამ უფსკრულზე! გაუმარჯოს მუშა ხალხს! გაუმარჯოს ჯარს, მუშა ხალხის ჯარს!—სთქვა რა ეს, სწრაფი ნაბიჯით გაემართა ხიდისკენ.

ჯარის კაცებმა მხიარული ტაშით გააცილეს იგი.

IV. ხმელი პური და წყალი.

საღამომდე დადიოდა კირილე მუშათა უბნებში, სადაც ქუჩები სავსე იყო გაფიცული მუშებით. ორატორები ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ ხალხს.

ძალზე დაღლილი და სიცივისგან გაყინული კარგა ბნელოდა, როცა კირილე სახლში დაბრუნდა.

ნახულ-გაგონილით ნასიამოვნები აღტაცებული უამბობდა ვასილას და სხვა მეზობლებს გაფიცვის ამბავს, რაც კი ენახა მთელი დღის განმავლობაში.

— გრენადერის ყაზარმასთან ძალიან ჭკუიანი ბიჭები ვნახე...—სთქვა კირილემ.

— მაშ შენსავით ჩერჩეტები ხომ არ იქნებოდნენ?—დაატანა ვასილამ.

— ვასილი, ჩუმად იყავი!—შეუტია კირილემ.

— ჩუმად რად უნდა ვიყო, შენ, სად არა-თქო, გამოხვალ და ორატორობ, და მე არ შემიძლიან ჩემს ბინაზე ორი სიტყვა ვთქვა?

— მერე, სხვა რა ნახე?—ჰკითხა დიასახლისმა.

— ორ ადგილას,—დაიწყო კირილემ,—ერთი სამპსონიევის ხიდთან, მეორე ფინეთის სადგურთან ტრამვაის ვაგონები მუშებს რელსებიდან გადმოეთრიათ და გზაზე გარდიგარმო გაეჩერებინათ, რომ სხვა ტრამვაებმა ვერ იმუშავონ.

— იმ გარდიგარმო გაჩერებულ ვაგონებში ხალხი იჯდა თუ ცარიელი იყო?—ჰკითხა ვასილამ და გვერდზე მჯდომ მეზობელს ხელი წაჰკრა, რაც არ გამოეპარა კირილეს.

— არა, ხალხი არ იჯდა, ცარიელი იყო, როგორც შენი თავია ცარიელი...

— შე ჩერჩეტო, რას ჯავრობ, მე მხოლოდ გეკითხები.

— სულელურ კითხვაზე მე ასე ვიცი,—მიუგო კირილემ და წამოდგა, თავის ოთახში გასვლა დააპირა.

— კიდევ გვიამბე რამე,—უთხრა დიასახლისმა.

— დღეს ეს გეყოფათ, ხვალ წავალ კიდევ, გავივლ-გამოვივლი და, რასაც ვნახავ და გავიგონებ, ყველაფერს შეგატყობინებთ... ღამე მშვიდობისა,—გამოესალმა კირილე და გამოვიდა დიასახლისის ოთახიდან.

— კირილე, ხვალ პურის რიგში უნდა წავიდეთ!—უკან მიაძახა ვასილამ.

— კარგია,—მიუგო კირილემ,—პურს რომ მივიღებთ, მერე წავიდეთ, ქუჩა-ქუჩა ვიაროთ...

— ძალიან კარგი, თანახმა ვარ,—დაეთანხმა ვასილა.

კირილეს წინა დღით ნაყიდ ორ გირვანქა პურიდან ნახევარ გირვანქის ოდენა კიდევ ჰქონდა დარჩენილი. გულიანად შეექცა ამ პურს, ზედ წყალი დააყოლა და დაძინება დააპირა. მაგრამ რა ნახა, რომ ვასილა და მეორე მისი მეზობელი ისევ განაგრძობდნენ საუბარს დიასახლისის ოთახში, გულმა ვერ მოუთმინა და ისევ გავიდა მათთან.

— წასვლა რა იყო და მოსვლა რაღაა?—ჰკითხა ვასილამ.

— ვახშამი გიახელი და ისევ მოველი,—მიუგო კირილემ და მტკივანა კბილის ჩიჩქნა დაიწყო თითით.

— თითს პირში რას იჩრი?

— კბილებში ხორცები გამეჭედა და მინდა მოვიცილო;—მიუგო კირილემ,—ვერიდები ხორცის ჭამას, რომ კბილებში არ გამეჭედოს, მაგრამ სული წამძლევს ხოლმე...

ეს სიტყვები კირილემ ისეთი კილოთი წარმოსთქვა, რომ იქ მყოფთ ყველას ეჭვი შეეპარა—ნუ თუ მართლა ხორცი ჭამაო!

— რა ხორცი ჭამე შენ ახლა?—ჰკითხა ვასილამ.

— არაფერი, ცოტა შემწვარი გოჭის ხორცი მქონდა, ის გიახელით,—სთქვა კირილემ და სიცილი ვეღარ შეიკავა.

— ჰაი, შე ცუღლუტო, მე მართალი მეგონა, კინაღამ პირის წყალი წამივიდა!—უთხრა დიასახლისმა და სიცილი დაიწყეს,

— ჩემო კარგებო!—ამოიოხრა კირილემ და სერიოზული გამომეტყველება მიიღო:—შემწვარი გოჭი, ბატი, ინდოური და სხვა ამისთანაები, ბურჟუებისათვის არის, ჩვენ კი მუშები ვართ, ჩვენთვის არის მხოლოდ ხმელი პური და წყალი, სხვა არაფერი!.. ახლა კი მართლა ღამე მშვიდობისა,—უთხრა კირილემ და გავიდა თავის ოთახში ანუ სოროში—როგორც თითონ ეძახდა—დასაძინებლად.

V. „ძირს თვითმპყრობელობა!".

დილის ექვსი საათია. ბნელა. ქუჩის ბოლოში ოდნავ ბჟუტავს რკინის სვეტზე დასობილი გაზის ფარანი, რომელიც თავის გარშემო ძლივს ანათებს. ოც გრადუსიან ყინვას ყველაფერი გაუყინავს, გაუთეთრებია—კედლები, ღობეები, ხეები.

იჭრიალა შვიდ სართულიან სახლის ჭიშკარმა და ქუჩაში გამოვიდა ორი ამხანაგი, რომელნიც მხიარულად საუბრობდნენ, იცინოდნენ.

— მაგარი ყინვაა, რიგში პირველი ჩვენ ვიქნებით,— სთქვა ერთმა.

— მეც ეგრე მგონია,— უპასუხა მეორემ.

— ამ ყინვაში ხომ გავიყინებით!

— არაუშავს... რიგში ადგილი დავიკავოთ და მერე რიგრიგით ვიაროთ სახლში გასათბობად.

ესენი იყვნენ ჩვენი ნაცნობი კირილე და ვასილა.

— აკი ვთქვი, პირველი ჩვენ ვიქნებით-მეთქი!—წამოიძახა კირილემ და მიეკრა დუქნის გაყინულ კარებს.

ორი საათი მეტი იდგნენ დუქანთან და დაატყაპუნებდნენ ფეხებს.

რვა საათია. გათენდა.

აი დუქანიც გააღეს.

— ეს რამბავია, რომ ჩვენს მეტი არავინ არის რიგში?—იკითხა ვასილამ და ეჭვი შეეპარა.

— თქვენ აქ რადა დგეხართ?—ჰკითხა დუქნის ნოქარმა.

— პურს ველით,—უპასუხა კირილემ.

— დღეს ჩვენთან პური არ იქნება, პური ფილიპოვის საკონდიტეროშია, მეორე ქუჩაზე.

კირილე და ვასილა სწრაფად გაქანდნენ ფილიპოვის დუქანთან, სადაც კარგა ბლომად მოეყარათ თავი, და ჩადგნენ რიგში.

— რა ორი საათი დავკარგეთ!—წაიბუტბუტა ვასილამ.

პირველ საათზე მიიღეს ორ-ორი გირვანქა პური და ბინისაკენ გასწიეს. მერე ისევ ქუჩაში გამოვიდნენ.

მიუხედავად მაგარი ყინვისა, ქუჩებში ხალხი ბლომად იყო დაგროვილი და, ვინ იცის, რას არ ამბობდნენ. პოლიციელები არსად სჩანდნენ.

— ხელმწიფე პსკოვშია თურმე დამალული, —ამბობდა ერთი,—გუჩკოვი მისული და უთქვამს: უკან დაბრუნდი, ტახტს მოუარეო; მას უარუყია და დაუბარებია—ვისაც უნდა, იმან მოუაროს ტახტს, მე კი თავი დამანებეთო:

— მთელი სათათბიროს წევრები ერთად არიან თავმოყრილი და ხელმწიფისთვის დეპეშა გაუგზავნიათ—თუ არ დაბრუნდები, ტახტიდან ჩამოგაგდებთო!

— გესმის, ვასილი, ეს კარგია!—უთხრა კირილემ ამხანაგს და ორივემ გაგანისაკენ *) გასწიეს.

ჯერ ოცი ნაბიჯიც არ გადაედგათ, რომ დიდ პროსპექტზე შეხვდათ რამდენიმე საბარგო ავტომობილი. ზედ ისხდნენ ჯარისკაცები წითელი დროშებით და ჰყვიროდნენ:

— ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს თავისუფლებას! გაუმარჯოს მუშა ხალხს! ომი სასახლეებს, მშვიდობა ქოხებს!!!

— ხედავ, ვასილი, წითელ დროშებს?—აღტაცებული ჰკითხავდა კირილე:—მორჩა, დაიწყო რევოლიუცია! ახლა კი გვეშველა!

— მე წავალ შინ, ცოტას გავთბები, თორემ ძალიან შემცივდა,—უთხრა ვასილამ და შინისაკენ გაემართა.

ქუჩაში მარტოდ დარჩენილი კირილე გაბარებული დარბოდა ერთ ადგილიდან მეორეში: ის ისე იყო გატაცებული ნახულ-გაგონილით, რომ ყველაფერი დააავიწყდა—სიცივეც, სიმშილიც.

საითაც კი წავიდა, ყველგან აუარებელი რევოლიუციონურად განწყობილი მუშები და ჯარისკაცები ნახა. ყველანი რევოლიუციაზე ლაპარაკობდნენ.

მეთექვსმეტე ხაზიდან დიდი პროსპექტზე გამოვიდა დიდ ჯგუფი, რომელსაც წინ მოუძღოდა წითელი დროშა. ამ ჯგუფში ბლომად იყვნენ ქალები და მოზარდები. მოდიოდნენ წყნარად და მოიმღერიდნენ „მარსელიეზას“. თან ჰყვიროდნენ: „პური მოგვეცით!“

— გაუმარჯოს თავისუფლებას!—შესძახა კირილემ და შეერია ჯგუფს.

წყლის პირა ქუჩიდან გამოჩნდნენ შუბიანი ყაზახები, რომელნიც ჯგუფისკენ მოაჭენებდნენ ცხენებს.

— გაუმარჯოს თავისუფალ ხალხს! გაუმარჯოს წითელ დროშას!—დაიგრიალეს ერთხმად ყაზახებმა ჯგუფთან მოახლოვებისათანავე.

— გაუმარჯოს თავისუფალ ყაზახობას!—უპასუხა ჯგუფმა.

სანახაობით ხალხი აღტაცებულია.

კირილეს სიხარულის ცრემლები გადმოსცვივდა თვალიდან.

დალამებისას ხალხი დაიშალა.

ქუჩაში დარჩა მოდარაჯე ჯარი.

ჯვარედინ ქუჩებზე კოცონები გუზგუზებენ.

ხალხმა გაიმარჯვა. მეფე ტახტიდან ჩამოაგდეს.

*) განაპირა მეშვიდე უბანი ზღვის პირას, ვასილის კუნძულის ბოლოზე.

VI. „ძირს კადეტები და შემთანხმებლები!“.

გავიდა შვიდი თვე.

გამარჯებული მუშა ხალხი და ჯარი ბობოქრობს, ხელახლად ემზადება რევოლიუციისათვის. წითელი გვარდიაც მზად არის ლახვარი ჩასცეს მას, ვინც გაჰბედავს გააქარწყლოს რევოლიუცია, ხალხის გამარჯვების ნაყოფი...

— ძირს კადეტები! ძირს მათი დამქაშები! —გაისმის ყველგან.

— გაუმარჯოს წითელ გვარდიას და ჯარს!!

აღელვებული კირილე დარბის ქუჩიდან ქუჩაში, სადაც ხალხს ხედავს, შიგ იერეკება და მეასედ იმეორებს ერთსა და იმავეს:

— ამხანაგებო, ეს როგორ იქნება, რომ მუშა ხალხის სისხლით მოპოვებულ თავისუფლებას კადეტები ეპატრონებიან?! ქალაქის ქუჩები ჩვენი სისხლით შეღებეთ, ნიკოლოზი ტახტიდან ჩამოვაგდეთ, რომ თავისუფლად ამოგვესუნთქა და ახლა კადეტები წამოგვასხდნენ კისერზე! განა იმისთვის ვიბრძოდით, იმისთვის ვიხოცებოდით, რომ ბურჟუა-კადეტები გაგვებატონებინა ჩვენს თავზე?! არა, ამხანაგებო, ჩვენ არ გვინდა არც კადეტები, არც მათი დამქაშები; ჩვენ გვინდა ჩვენი თავის ბატონ-პატრონი ჩვენვე ვიყოთ! გაუმარჯოს მუშა-ხალხის დიქტატურას!!—შესძახებს კირილე და ახლა სხვა მხარეს მირბის.

ღამის ათი საათი იყო, როდესაც კირილე სახლში დაბრუნდა.

მოხუცი დიასახლისი და ვასილა ცხელ სამოვარს უსხდნენ და ჩაის შეექცეოდნენ.

— რა ამბავია გალმა მხარეს?—შეეკითხნენ ერთხმად ახლად მოსულს.

— რაამბავია და მშვიდობა!—უპასუხა კირილემ,—ხალხი, ჯარი, წითელი გვარდია, ყველა კადეტების წინააღმდეგ არის ამხედრებული... დღესაც და ხვალ კი ვეღარ გაიხარებენ, ხვალ პანაშვიდს გადავუხდით არამკითხე ბატონებს... ხვალ გაიგებენ, როგორ უნდა საზამთრო სასახლეში ჯდომა; ხვალ საუკუნოდ დასამარდება მათი ბატონობა!.. ყაზანის სობოროსთან ვიღაცამ წამოაყრანტალა: კადეტებთან შეთანხმებით უნდა ვიმუშავოთო...

— თითონ კადეტი იქნებოდა!—წამოიძახა ვასილამ:—სხვა რა სთქვა?

— სხვა აღარაფერი უთქვამს, ხმა ჩავაწყვეტინეთ... ჩვენ კადეტებთან შეთანხმება არას მოგვიტანს... არც ისინი არიან ჩვენი ამხანაგები და არც ჩვენ ვართ მათი ამხანაგები...

— კადეტების ჯარი რას ამბობს?—იკითხა ვასილამ.

— კადეტებს ჯარი არ ჰყავთ, ან თუ ჰყავთ, ძალიან ცოტა;—უპასუხა კირილემ:—ხვალ გამოირკვევა ყველაფერი... მათი ბატონობის დღე უკვე დათვლილია! მშვიდობით, კადეტებო! უკაცრავად, რომ დიდხანს ვერ იბოგინეთ!..

ასე ბჭობდა კირილე და დარწმუნებული იყო, რომ საბოლოო გამარჯვება მუშებს უნდა დარჩენოდა.

VII. პროლეტარიატის გამარჯვება.

ოცდა ხუთი ოქტომბერია.

საზამთრო სასახლეში თავი მოუყრიათ კადეტებს, ესერებს, მენშევიკებს და სხვათ.

გაცხარებულნი ბჭობენ.

— ბატონებო, უნდა დავამშვიდოთ ეს აბობოქრებული ხალხი, თორემ ყოვლად შეუძლებელია ასეთ პირობებში საქმის მოწესრიგება, ქვეყნის მართვა-გამგეობა!—იძახის ერთი.

— რითი გინდათ დაამშვიდოთ ეს მღელვარე ხალხის ზღვა?—ეკითხება მეორე.

— ზალპით, მათრახებით... როგორც ნიკოლოზ მეორე ამშვიდებდა... სხვა ვერაფრით დაამშვიდებ აბობოქრებულ ხალხის!—უპასუხებს პირველი.

— ნიკოლოზ მეორეს ჯარი, ყაზახები ჰყავდა, ჩვენ ვინა გვყავს, გარდა სუსტი ქალების რაზმისა და იუნკრებისა? ნუ დაგავიწყდებათ, რომ ხალხი, წითელი გვარდია, ჯარი, ყაზახები, მეზღვაურები, სულ ერთად არიან მჭიდრო კავშირში და ყოველ წუთს გვიქადიან გასრესას!..

— მაშ რა ვქნათ?

— გავიდეთ აქედან და ტკბილი სიტყვით ვეცადოთ ხალხის და ჯარის ჩვენსკენ გადმობირებას...

— რა სიტყვით უნდა გადმოიბირო, რომ კადეტების ხსენებაზე იქვე ჩაგაქვავებენ!

უცებ სასახლის წინ მდებარე მოედნიდან საშინელი ხმაურობა შემოიჭრა დარბაზში.

ყველანი ფანჯარებს ეცნენ.

ოქტომბრის ბნელი ღამე იყო, მაგრამ ჩირაღდნების სინათლეზე ადვილად სჩანდა, რომ მოედანი ჯარით იყო სავსე. ცეცხლის სანათლეზე ვერცხლივით ბზინავდნენ ათასობით ხიშტები.

თავზარდაცემული კადეტები შეშინებული კურდღლებივით გაიყურებოდნენ მოედნისაკენ.

დღესავით განათებულ დარბაზში ქაქანით შემოიჭრა სასახლის დარაჯთა უფროსი, რომელიც სულს ძლივს ითქვამდა.

— ბატონებო!—გიჟივით დაიღრიალა მან:—სასახლის მოედანი სავსეა მუშებით, წითელგვარდიელებით და აჯანყებულ ჯარებით! სასახლის მცველი ჯარიც იმათთან გადავიდა! აღარავინ გვყავს დამცველი! თავს უშველეთ!..

უცებ იშხრიალა დარბაზში ფანჯრის მინამ და ზუზუნით კედელს მოხვდა მოედნიდან გამოსროლილი ტყვია.

დარბაზში თავმოყრილი კადეტები საჩქაროთ მიიმალ-მოიმალნენ. „გულადი“ პატარა კადეტი ყველაზე უწინ შეძვრა დარბაზში მდგომ სავარძლის ქვეშ და სული განაბა. გულის ფანცქალით ელოდა ბოლშევიკების შემოჭრას. ტყვიას სეტყვასავით აყრიდნენ სასახლეს. აგერ კრეისერმა „ავრორამაც“ დაიშექა და კარგა ხანს ისმოდა მისი შექა-ქუხილი.

შეწყდა სროლა. სასახლის კორიდორებიდან მოისმა ფეხის ხმა და რამდენსამე წამში ჯარის კაცებით და წითელ გვარდიელებით გა-

ივსო დარბაზი. თითო-თითო გამოჰყავდათ სხვა და სხვა კუთხეებში დამალული კადეტ-ესერები და დარბაზის ერთს კუთხეში აგროვებდნენ.

ერთმა წითელ-გვარდიელმა პატარა კადეტი იპოვა სავარძელს ქვეშ. ელდა ნაცემი სულს ძლივს ითქვამდა, თვალებს საძაგლად აბრიალებდა, კანკალით უყურებდა წითელ-გვარდიელს და არ იცოდა, რა ეთქვა.

მოეღო ბოლო კადეტების ბატონობას. საზამთრო სასახლე მუშათა ხელშია. მის ბანზე ამაყად გრიალებს წითელ დროშა. მოედანზე კი აღტაცებულ ხალხის ჟრიამულია. ისმის მწყობრი „ინტერნაციონალი“ და მუ-

მუსიკა.

საბოლოოდ გამარჯვებული მუშა ხალხი ჯართან ერთად დღესასწაულობს მჩაგვრელებზე გამარჯვებას.

ჩვენი კირილეც აქ არის თავისი „პარიზიდან მოტანილი“ ტყაპუჭით. ისიც მღერის, ისიც დღესასწაულობს გამარჯვებას... გახარებული დარბის მოედანზე.

— გაუმარჯოს პროლეტარიატს! გაუმარჯოს ჯარს! გაუმარჯოს წითელ გვარდიას— გაჰკივის კირილე.

მას ბანს აძლევს ათასი ხმა, ათასი მუშის გულიდან ამოძახილი, ეფინება სასახლეს არემარეს და მიდის შორს, შორს, ნევას გაღმა მხარეს...

მუშა ნიკო ასლამაზაშვილი.



25 ოქტომბერი

გრიგალი ქროდა.
ნევაზე ზლაზნით,
და პეტროგრადის ფართე ქუჩები
გავსებულიყო
თოფით, ზარბაზნით,
მუშებიც იდგნენ
შენაქუჩები,—
ხან მიდიოდენ
მწყრობრად და მწკრივად.
თუმცა საშინლად
მოქმედობს ყინვა,
თოვლის ფანტელი
ძირს უხვად ცვივა
ყველგან ქარია
ჰყინავს და ცივა...

———

გრიალებს ხმები
ავ გახელებით,
არის ყიჟინა
აურ-ზაურით.
არ სჩანს ეტლები
არც მოგზაური...
მხოლოდ მიბობღავს
თუჯის ტანკები...
ტყვიის მფრქვეველი
შლის კანონადებს.
ყველანი შიშის
ზარით კანკალებს—
გარბის ოფიცერი
„პაგონ“ აგლეჯილი,
მისდევს ჯარისკაცი
სახე დაღრეჯილი...
არსაით შველა,
ირგვლივ ხმაური
ავ მრისხანების
აურ-ზაურით.

———

ბავშვებიც აღარ
ყიდიან პაპიროსებს,
არის შემთხვევა უცაბედი,
ქალაქი უჭირავს
ხელში მატროსებს.
აენთო სახლი
როგორც აბედი...
იწვის თან არე,
თითქოს ქვავდება...
აგერ, მეეტლე აყირავდება
დაიწყებს გინებას...
აღარ ყავს მუშტარი
უბეში
ინახავს კერენკებს
ალ მოდებული სუსხიან დღისგის.
რაღაც აშინებს
და რაღაც უხარია,
მაგრამ ფიქრებმა
გრძნობები არია—
და გააქანებს ეტლს
ნევისაკენ.
სად ყინვის ზოდი
ბრწყინავს
ვით სარკე.

———

ქუჩები ყველგან
არის დასერილი,
განუწყვეტელი
მოისმის სროლა;
და ტყე დროშების
ზედი-ზედ ქროლას—
მისდევენ
მგრძნობის შეზარხოშებით:
ქარხნის მუშები,
ჯარისკაცები.
დიდი, პატარა,
ქალი და კაცი...
ხშირია მარცხი,
სიკვდილიც ხშირი,
დაპრილი თხრილში
ველისთვის ყვირის,
წაურთმევია შრაპნელს იმისთვის:
ნაწილი ცხვირის,
ორთავე ყბები...
ხოლო მრისხანე
ქალაქის ხმები—
იღვიძებს უფრო და ძლიერდება...
ვის ახსოვს დედა,
ტრიალებს ჯანყი გამოუცნობი,
ქალაქს ედება
ცეცხლი და ცოფი.
რეკენ ზარები...
შიში და წყროლა
კომუნარების
გრძელდება ბრძოლა.

———

აურ-ზაურში სანთლები
ქრება.
არის ყვირილი—აქეთ მოგვეშველეთ!
გარეკეს უცებ
დამფუძნებელი კრება.
გაჩაღდა ომი
მრავალ ალაგს.
არის ღრიანცელი,
ტრიალებს ცელი
რომ მშრომელ ხალხის
მტრები ალაგმოს.
სისხლის ღვართქაფი
მოდის რუებათ,
არის ტორტმანი და გაბრუება...
კიდევ არ იციან,
ნეტავ რა მოხდა?
ძველი რუსეთი
წვალებით მოკვდა,
თან დასამარდა ძველი
ცოდვები...
ის დაიბადა მეორედ ისევ
საბჭოთა ქვეყნის სახელწოდებით.

———

სახლები დროშებით შეიმოსენ,
არის ლაპარაკი პურზე და ზავზე,
რევოლიუცია ისევ მძვინვარებს,
ძვირდება პური...
ჯარს ხოცავს ცინგა.
მაგრამ იმედები
მაინც დიდია,
თავისუფლებას,
პურისათვის როდი ყიდიან!

———

შესდგა მუშების,
გლეხების და ჯარისკაცთ საბჭო,
არის სიტყვები და მილოცვები...
წითლები მოჰქრის
და თეთრებს ახრჩობს...
დიდია ძალის შემჭიდროება.,.
არის ლოზუნგი:
„ფრონტს ყველაფერი“!
ჰაერი თითქოს სისხლით ნაფერი
სახე გაშლილი
ქალაქს ეხვევა,
და მიდის ისევ შეუჩერებლივ
ახლის შენება და ძველის რღვევა.

———

ეს იყო მაშინ,
როცა კერენსკი
კბილის კრაჭუნით
უტევდა წითლებს.
მაგრამ დამარცხდა,
დაუშვა მხრები,
მუშამ მოღუნა მისი დიდება,
ჩამოჭკნა უცებ დიდი
მუცლები.
დიდი სურვილი და განდიდება.
და დარჩა მხოლოდ
ოქტომბრის რისხვა—
ფრთა წაუშლელი და წელშაგარი,
მას მუშებისთვის
ბევრი რომ აქვს ნაამაგარი.
მოდის ფეხმარდი
სისხლიან გზებით,
და ჩვენც აღგზნებით
ვეგებებით შვიდი წლის
თავზე,
რომ გულს იმედის
ტკბილ გრძნობებით
ათბობს და ავსებს.

იონა ვაკელი



ჩვენ

ჩვენ შევიყვარეთ
ბრძოლის სტიქია,
რადგან იგია
ჩვენი მშობელი.
ბარიკადებზე
ჰიმნით გვიქია
და შეგვიქმნია
საგალობელი.
იგი ჩვენს
გულში
ზღვასავით ბრუნავს,
ბრძოლის ფერხულში
მტერი ვერ გვღუნავს.

—

ჩვენი ლაშქრობით
ვანაზღაურებთ
ბებერ მსოფლიოს;
ვერვინ აღგვიდგეს
წინააღმდეგ,—
ვერავინ გვძლიოს!

—

ჩვენ შევიყვარეთ
წითელი ფერი,
ფერი,
რა ფერი,
სისხლის
ჩანჩქერი;
ფეხ-ქვეშ
გავსრისეთ
მტერი,
ძლიერი
და დავამყარეთ
ჩვენ ოქტომბერი.

—

და მოეჰქრით,
მოგვაქვს
დროშა მეშური,
ფრთა-სისხლიანი
ფრთა-მედიდური.

—

ზეიმობს ქუჩა
და ოქტომბერი;
მან ჩააყუჩა
ვერაგი მტერი.
ყველგან გადადის
წითელი ფერი,—
წითელი დროშა
და ოქტომბერი.
აღზდგა ჩინეთში
მონა მშიერი
და მიდის ურჩად
და მიდის მედგრად,
მტრის შესახვედრად.

—

აწ ვეღარავინ
ვეღარა სძლიოს
რევოლიუციის
მძიფრი გრიგალი,
ვაშა, მომავალ
წითელ მსოფლიოს,
დაემხოს ძველი,
აღზრდგეს ახალი!

გ. ჭუჩიშვილი.

ოქტომბერი

დღეს
ქალაქებს.
სოფლებს.
დაბებს.
ქვეყნის ყველა—
მშრომელ კუთხეს:

———

დღეს—
ყოველი:
მუშა.
გლეხი.
მათხოვარი.
მაწანწალა—
მიაშურებს სიხარულით:
განათებულ
ქარხნის კედლებს.

—

მოედნებზე
ტრიბუნიდან—
მილიარდი:
უამრავი—
კვლავ მოისმენს
ცეცხლის სიტყვებს!
ბრძოლის საყვირს.
ქარხნის კივილს,
ქარხნის ზუზუნს.

—

ერთხელ კიდევ:
კომინტერნი—
მთელ მსოფლიოს
ესვრის ლოზუნგს—
რკინის ნებით:
დასალტულს
და
გამოუედილს.
ერთხელ კიდევ:
გადასძახებს—
ურიცხვ ქვეყნებს:
ზღვიდან—
ზღვამდე:
ქარხნებს.
გემებს.
ჰაეროდრომებს.
დირიჟაბლებს.
გიგანტ პორტებს.
შავ ჯურღმულებს.
ბნელ სარდაფებს.
მაღაროებს—
მის უსიტყვო:
ტყვედ ქმნილ მონებს
—წინ მხედრებო.
—გზა შორია—
გაუვალი.
—ცეცხლი ყველგან
შავ სოროებს:
კლდის ნაპრალებს.
—ყველა ჩვენსკენ.
—ჩვენს დროშის ქვეშ—
ვისაც ზურგი
მძიმე შრომით:
მოხრილი გაქვს—
ცხრა ჯერ მაინც.
—ჩვენ ერთნი ვართ.
—ჩვენ საერთო
ძალით ვანგრევთ
ძველ სამყაროს.
—ძველს დიდებას.
—ბატონობის
ტლანქ კანონებს:
მის ციხეებს—
სრა-სასახლეებს,

—

—ერთხელ კიდევ
შეუტიეთ—
რკინის ბეჭებს:
ძველ ღმერთების
სასუფეველს—
რომ მშვიდობა
მიანიჭოთ:
თქვენს სარდაფებს—
ღარიბ ქოხებს.

—

—კმარა ტანჯვა.
—ცრემლი.
—სევდა.
—მოთქმა
—ვიში.

—

ზიზღი: ქვეყნის—
ორგულ შვილებს.

—

—ჩვენ არ გვინდა:
ვიყოთ მონა
—ჩვენ არ გვინდა
ჩვენი ოფლით
ვკვებოთ:
ყველა გაიძვერა—
ყაჩაღები:
ვიგინდარა.
—კმარა.
მორჩა.

პ. ოდიშელი.

25 ოქტომბერს.

მონებს ბორკილი ავყარეთ,
მიელეწ-მოვლეწეთ ხუნდები,
დღეს შრომის შვილნი შრომასა
ისევე დავუბრუნდებით.

ჩვენა ვართ გმირნი, მძლეთა—მძლე,
მტრებს დღესაც დავებაძებით;
მშრომელი ხალხის ორგულებს
უხვად ჩავაცვით ძაძები:

წითელ დროშით დავდივართ
თავისუფლების შვილები,
მრავალ ჰირის და ვარამის
გამოცდილ—გამოზრდილები.

დღეს ჩვენ ოქტომბერს ვზეიმობთ
გლეხი და პროლეტარები,
და მოსისხლე მტერს თავზარს სცემს
მშრომელთ წითელი ჯარები.

შაქრო ნავთლუღელი.

ვალერი ბრიუსოვი

(ბიოგრაფია).

9 ოქტომბერს მოსკოვში გარდაიცვალა რუსეთის უდიდესი მგოსანი ვალერი ბრიუსოვი.

დაიბადა ის 1873 წ. პირველ დეკემბერს მოსკოვში. ვ. ბრიუსოვის ბაბუას, ყოფილ ნაყმევს, ჰქონდა სიყვარული ლიტერატურისადმი: წერდა ლექსებს, მოთხრობებს, დრამებს. ვ. ბრიუსოვის მამაც სწერდა ლექსებს.

ვ. ბრიუსოვმა ლექსების წერა ჯერ კიდევ 1899 წ. დაიწყო. 1904 წ. უკვე საკმაოთ ცნობილი მწერალი იყო.

პოეზიაში მან შექმნა ახალი ლიტერატურული ფორმები, ახალი თაობის წინამძღოლი გახდა.

როცა თვითმპყრობელობამ 17 ოქტომბრის მანიფესტი გამოაქვეყნა, რევოლიუციონურ მუშათა კლასთან ვ. ბრიუსოვიც არ დაკმაყოფილა ამ მანიფესტმა და უფრო შორ მოუწოდებდა მასებს. გამოღვიძებული მუშათა კლასის მოთხოვნილებების შესახებ ის სწერდა:

„Это колокол вселенной
С языком из серебра,
Что качают миг мгновенный
Робеспьеры и Мара.
Пусть ударят неумело:
В чистой меди тотже звон".

ამრიგად ჯერ კიდევ 1905 წელში გამოარკვია ვ. ბრიუსოვმა თუ ვის მხარეზე არის იგი: მყვლეფელების თუ გაყვლეფილთა.

ვ. ბრიუსოვი იყო რუსეთის ლიტერატურისა და მეცნიერების წარმომადგენელთა იმ მცირე რიცხვში, რომლებიც არ გაექცენ ოქტომბრის რევოლიუციას, რუსეთის მშრომელებთან ერთად გადაიტანეს ბლოკადის, ინტერვენციის შინაური კონტრ-რევოლიუციის თავდასხმების და შიმშილის მძიმე წლები.

1920 წ. ვ. ბრიუსოვი შეევიდა კომუნისტურ პარტიაში და მშრომელთა აჯანყებას უძღვნა თავისი საუკეთესო ლექსები.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ვ. ბრიუსოვი მუშაობდა, აქტიური შემოქმედებითი-საორგანიზაციო მუშაობას აწარმოებდა თავის საყვარელ ასპარეზზე. ის იყო მისივე სახელობის ლიტერატურულ-სამხატვრო ინსტიტუტის რექტორი, პროფგანათლების მთავარ სამმართველოს სამხატვრო განათლების განყოფილების თავმჯდომარე, სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს წევრი, სამხატვრო აკადემიის წევრი, მოსკოვის პირველი სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და სახელგამის სამხატვრო სექტორის გამგე.



ვალერი ბრიუსოვი.

1923 წ. 17 ოქტომბერს ზეიმით იქნა გადახდილი მისი ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლის იუბილე.

სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმმა საჯაროთ აღნიშნა მისი დამსახურება „როგორც ნიჭიერი პოეტის, მეცნიერის", რომელიც უკანასკნელ წლებში „ფართე მუშაობას აწარმოებდა კომუნისტური სახალხო განათლების ასპარეზზე".

ცაკმა მადლობა გადაუხადა მას მუშურ-გლეხური სახელმწიფოს სახელით.

პოეტი რევოლიუციონერი

მაგრამ რა წამსაც გავიგონე ხმა აჯანყების,
რა წამს დროშებმა ალისფერად დაიწყეს ბრწყინვა,
მეც თქვენთანა ვარ, მე ჩანგი ვარ თავისუფლების:
მოძახილს ვაძლევ მაღალ მთების ჯანიან გრგვინვას.
(ლექსიდან „ხანჯალი").

როცა რევოლიუციით შეშინებული თვითმპყრობელობა 1905 წ. დათმობაზე წავიდა და რუსეთის ხალხს 17 ოქტომბრის მანიფესტი „უბოძა", რუსეთის ბურჟუაზია კადეტების სახით აღტაცებაში მოვიდა. 17 ოქტომბრის მანიფესტი იყო ის, რაც მას აკმაყოფილებდა. უფრო შორს წასვლა მისთვის აღარ იყო საჭირო, რადგან ეს ნიშნავდა რევოლიუციის გარღვევებას.

17 ოქტომბრის მანიფესტმა ვერ დაკმაყოფილა მხოლოდ რევოლიუციონური მუშათა კლასი და გლეხობა.

რუსეთის მოწინავე ინტელიგენციასაც დაუბნელა გონება რუსეთში პარლამენტარული რეჟიმის დამყარების ილიუზიებმა. ძლიერ მცირენი იყვნენ ისინი, რომლებიც 17 ოქტომბრის მანიფესტი სწორად შეაფასეს, დიანახეს მასში თვითმპყრობელობის მხრივ ბურჟუაზიასთან შეთანხმების ცდა პროლეტარიატის გასარიყავად.

და ამ მცირეთა რიცხვს ეკუთვნოდა ვალერი ბრიუსოვიც, რომელმაც ღირსეული პასუხი მისცა მათ, ვინც 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ მხიარულად შეკუნტრუშდა:

„Мне стыдно ваших поздравлений,
Мне стыдно ваших городых слов.
Довольно было унижений
Пред ликом будущих времен.
Довольство ваше—
Родость стада,
Нашедшего клочек травы".

მოუთმენლად მოელოდა ბრიუსოვი „მომავალ გუნებს, რომლებიც ღრუბლებივით ჩამოაწვენ დედამიწას".

პოეტი მთელი თავისი არსებით, ლექსის ინჟენერი (ასე უწოდეს მას ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლის იუბილეს დღეს) მუდამ ეტრფოდა რევოლიუციას, მის მხარეზე იყო არა „იმდენათ რამდენათ", არამედ ყოველგვარი პირობების გარეშე, როგორც ამბობენ ახლა. მრავალი წლებით ადრე განჭვრიტა მან ძლევამოსილი მუშურ-გლეხური რევოლიუციის სურათები, მაგრამ ნგრევამ და სისხლმა, რომელიც აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა მყვლეფელების და გაყვლეფილთა სამკვდრო-სასიცოცხლო შებმას, არ შეაშინა იგი.

მან დიდი ხნით ადრე ოქტომბრის რევოლიუციამდე განაცხადა, რომ ის მშრომელთა რევოლიუციის მხარეზეა:

,,მაგრამ ვადიდებ მე დღეს ბრწყინვალეს
(ათას დღეებში აუცილებელს),
როცა ის სისხლში, ხანძარში, კვაძლში,
ულმობლად,
იმალლებს მრისხანე ხმას
ბრბო მეამბოხე!
მთვრალი მბიარულების სიგიჟეში
ყველაფერ წარსულს სთელავს ტალახში,
ეთამაშება სიცილით სისხლიან კუნძებს და
თითქოს იდუმალ გენიოსის ხელმძღვანელობით,
(როგორც მდინარე მიაჭანებს ზვირთებს თავისას)
შეურეველი სიმტკიცით და ქვა ნებისყოფით,
ისწრაფვის იგი დასახული მიზნებისაკენ,
და ითხოვს იგი, ითხოვს თავის წილს,
ბრმა და ყრუ—
ჯზას უხსნის მომავალ საუკუნეებს
ბრბოვ!
მე ვადიდებ სიმართლეს შენი თვითნებობისას".

და როცა მძლავრად იჭექა ოქტომბრის გრგვინვამ, როცა „გუნები" ძალაუფლებას დაეპატრონენ, ხალხის მრავალი „მეგობარი" მუშებისა და გლეხების მტრების ბანაკში აღმოჩნდა, ბრიუსოვი კი მივიდა გუნებთან, რომ ედიდებია.

„ბრბოს თვითნებობის სიმართლე".

ოქტომბრის გადატრიალებას უძღვნა მან თავისი საუკეთესო ლექსები. გარდა ლიტერატურული მოღვაწეობისა, რომელიც არაჩვეულებრივად ნაყოფიერია*) თუ მხედველობაში

*) აი რას სწერს ვ. ბრიუსოვი თავის პირად მეგობარს ა. ბ. კუსიკოვს (1923 წ. 25 აპრილს):... გამოვეცი შემდეგი წიგნები: „ასეთ დღეებში" (ჯერ კიდევ შენს დროს), „წუთი" (ლექსები), „შორეული მხარეები" (ლექსები), რჩეული ლექსები „ლილიული" (რომენ როლანის თარგმანი), ემილ ვერხარნის პოემები (მუოთხე გამოცემა), კიდევ რაღაცები (პატარა ლექსები), ვხეჭდავ პუშკინის ნაწერების სრულ კრებულს (ახალი გეგმით), ლექსის სახელმძღვანელოს (ახალი გამოცემა), ედგარ პოეს ლექსებს (მთელი ნაწერები ჩემი თარგმანით); ბევრ წერილებს ვწერ განსაკუთრებით ფურნალში „Печать и Революция",... ვთანამშრომლობ ,,კრასნაია ნოვში" და „კრასნაია ნივაში", საერთოდ ძლიერ ბევრს ვწერ"...

მივიღებთ ცხოვრების იმ საშინელ პირობებს, ,ომელიც შექმნა რუსეთში საერთაშორისო ამპერიალიზმის და შინაური კონტრ-რევ-ლიუციის თავდასხმებმა მშრომელთა ხელისუფ-ლებაზე, ვ. ბრიუსოვი პრაქტიკული საქმია-ობითაც ხელს უწყობდა საბჭოთა წყობილე-ბის განმტკიცებას.

წერილში ა. კუსიკოვისადმი (1923 წ. აპრი-ლი) აი რას სწერს ვ. ბრიუსოვი: „რა მოგწე-რო ჩემზე? მოკლეთ ვერ ვიტყვი. ოფიციალუ-რად მე ვარ „მხატვრული განათლების გან-ყოფილების გამგე განათლების კომისარიატში, რექტორი—ლიტერატურულ სამხატვრო ინსტი-ტუტში, სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს წევრი და სხვა და სხვა“...

ვალერი ბრიუსოვმა არა თუ ადიდა გამარ-ჯვებული „ბრბო“, არამედ არ დაკმაყოფილდა უბრალო თანამგზავრის მოვალეობით, მივიდა „გუნებთან“, რომ მიეღო მონაწილეობა ძველი წყობილების მოსპობაში და ახალის დამყარე-ბაში—1920 წ. ის გახდა რ. კ. პ. წევრი.

მშრომელ ხალხთან ერთად გაიარა მან ოქ-ტომბრის რევოლიუციის ეკლიანი გზა.

წარსული წლის დეკემბერში საბჭოთა კავ-შირის რევოლიუციონურმა მუშებმა და გლე-ხებმა დიდის ზეიმით გადაუხადეს მას ლიტე-რატურული მოღვაწეობის ოცდა ხუთი წლის იუბილე.

X.

ვალერი ბრიუსოვის ლექსები

ხანჯალი

ამოღებული ქარქაშიდან იგი ელვარებს.
კვლავინდებურად ალესილი, პირაწყობილი,
პოეტი მუდამ ხალხთან არის როს ცა ზანზარებს
სიმღერა არის ქარიშხალის მუდამ დობილი.

როს არ მენახა თავხედობა, ძალა მკლავების
როცა ყველანი მორჩილებით იხრიდენ ქედსა,
გადავდიოდი სამყაროში ყრუ საფლავების
საუკუნეებს გაზღაპრებულთ ვანდობდი ბედსა.

წეს-წყობილება მე ამ ქვეყნის მეჯავრებოდა;
მეტად წვრილმანი, უსამართლთ უშნო, ბედშავი,
მაგრამ ბრძოლისთვის მოწოდება გულს არ ხვდებოდა
მე არ მჯეროდა მოწოდება გაუბედავი.

მაგრამ რა წამსაც გავიგონე, ხმა აჯანყების,
რა წამს დროშებმა ალისფერად დაიწყეს ბრწყინვა,
მეც თქვენთანა ვარ, მე ჩანგი ვარ თავისუფლების,
მოძახილს ვაძლევ მაღალ მთების ჯანიან გრგვინვას.

მჭრელი ხანჯალით, პოეზიის, დღეს გამოვდივარ
დღეს ელვამ ისევ გააბრწყინვა ფოლადი მუქი,
ისევ ხალხთან ვარ, იმიტომ, რომ მე პოეტი ვარ
და რომ ანათებს არე-მარეს ელვისა შუქი.

ლენინს

იგი ვინ იყო? იყო ბელადი
ხალხთა სურვილის და ნებისყოფის.
მან გამოსცვალა კაცობრიობის
გზა. გადალახა საუკუნენი.
და ოქტომბერი მან თვითონ შექმნა.
მან შემორკალა ჟამთა სირბილი.
და ეს ეპოქა უფრო დიდია,
ვინემ ბრწყინვალე დრო—რენესანსი.
ძველი ქვეყანა ავდება უძლური,
ახალი არის—ზღვა შემაერთი.
ოქტომბრის ცეცხლში მოსჩანს ლენინი
მოსჩანს საზღვარზე ვით გალიათი.
ო, დედა-მიწა! მწვანე პლანეტა,
პატარა ბურთო ვარსკვლავთა შორის,
შენი დიდება ეს სახელია—
კეთილშობილი და მშვენიერი!
ის მოკვდა! იყო სულ ერთი წუთი
ჟამთა სრბოლაში. მაგრამ ქმედითი,
ის აღემატა დაბალ სიცოცხლეს,
და ჩვენ ვადიდებთ მის სახელს მუდამ.

ოქტომბრის 7 წლის თავზე.

I

ქვეყანა ძველი
სთვლემს, ეყვინთება,
გამოელია ძალა და ღონე,
ხან ავი ბოღმის
ბრაზით ენთება,
ხან სისხლს სწოვს
ხარბად უამრავ მონებს.
ძველი ქვეყნისთვის
განცხრომა სუფევს,
მაგრამ ირყევა მისი იმედიც,
სად არის გმირი?
რომ მის შავ ზღუდეს
გაუსხლტეს ძირი, გაირღვეს ქედი?!

II

და, ჰა! დაფლეთილ
კორძით მოსილი,
გამოჩდა იგი ჩაქუჩით ხელში;
გვერდით მოჰყვება
თავ-წაკონილი,
თანამებრძოლი, ნამგალით წელში.
—ჰეი! აქ მოდი.
რას გვეტყვი ახალს,
როგორ დაზვერე მტერის სანგარი?
მწკრივში შემოდი,
ავანთებთ მწველ ალს
და დავსწვათ კერპი მტერის საფარი!
ნუ ვეძებთ სანგრებს,
გაშლილ ქუჩებში
ვეკვეთოთ მტარვალს ახლავე—მედგრად.
ფიცს დადებულს, ძმურს
ჩაქუჩის ხმებში
უნდა გმირულად, ბრძოლით შეხვედრა.

III

აჰა! დაიწყო,
ბრძოლა უსწორო.
ეცემა ერთი, ასი. ათასი,
მკვდრები დაეწყო.
დროა დასწურო
შავ ბრძოლის ღმერთო სისხლის ეს თასი!
უკანასკნელად
გვაწვდის საწამლავს
ბნელი ზრახვები და სახრჩობელა...
დაიძრა ზვირთი
ტალღა სდევს ტალღას
ძველი ქვეყანა დაეძებს შველას.
ვერ ზიდა ტვირთი
წელსაც ვერ იღებს.
ინგრევა და თან გაურბის ბრძოლას.
ზვირთი ზვირთს მოსდევს
ტალღა სცემს კლდეზე,
დაინგრა ძველი ქვეყნის კედლები,
და მძლავრ ხელებით
ძველის ნანგრევზე
შენდება შრომის პირამიდები.

მ. ხრიალეთელი.

ელვარეგს ჩვენი მზე

ბობოქარ ტალღებით
დავკარით
ეკლნარ-გზებს...
ვამშვენებთ ჩირაღდანს
ელვარე
საყვირით;
მშრომელთა
ყვავ-ყორნებს
ავართვით
მნათი მზე,—
ავანთეთ
ცეცხლისფერ
ხალისით
ნაპირი..
ქვეყნიურ
ხანძარში
გვამხნევებს
ძახილი;
მივქრივართ...
წინ!
მარცხნივ!
...ნავარდობს მახვილი;—
ჩვენ, სიკვდილს
ვატაკეთ
სიცოცხლის ჯახილი,
და, მყისვე
ვიხილეთ
მტერი ქედ-გახრილი...—
ჩვენ ვქრივართ
ოქტომბრის
ცად აწვდილ
საყვირით;
დავკარით
მრისხანეთ
ეკალ-ნარ გზებს...
ცეცხლის ფერ
ხალისით
ავანთეთ ნაპირი
და, ვიდრე ოდესმე,
ანათებს
დღეს.
და ზურმუხტ მიდამოს, დღეს, განავარდებით
ძლევის ხმით ეფრქვევა წითელი ვარდები;—
ნაღარა დიდებით რაკრაკებს ლენინზე...
რიჟრაჟის ალერსით ელვარებს ჩვენი მზე!

ანაზარდი.

პოეტს გაჩანას

(ეკსპრომტად მის საღამოზე 18/VIII—24 წ.)

„მთის არწივის“ ძმავ, მინდა რომ
სალამი გიძღვნა ბარული!
მტოკავ გულს შენში ვერ სჩაგრავს
ჭაღარა, შემოპარული.
ძველი ხარ, მაგრამ ახლებში
შენ ურევიხარ ახლურად,
მთაში დღეს სწორი არა გყავს,
ბარშიც ხარ თავის სახლურად.
მთით ჩამოეშვი მისთვის, რომ
ჩამოგეტანა ტალები,
თუ ჩვენც აქ კვესად დაგიხვდით,
გაკრთება ნაპერწკლები!..
იცოცხლე!.. ბევრიმც ჰყოლოდეს

თგილისი.

გიგანტიური წიგნი.
რევოლიუციის ენა;
მახსოვს სისხლიან წვიმით
ბაღში ფოთლების ცვენა.
დროშებით ელავს ზეცა.
ძველი ღმერთები იწვის;
ხუნდები დაილეწა
მუშა მეფეა, იცით?
ქარხნები მძაფრი ქშენით
შრომის დიდებას მღერის;
მიყვარს ტფილისო, შენი
ახალ მზეების ფერი.
ქუჩის ხმაური... სევდა.
(მიკვირს! გული მაქვს საღი);
ვერჰარნი გამახსენდა
გაფითრებული სახით.
მე მივატოვე მთები,
სოფელი, მწვანე ყანა;
სადაც ტკბილ მოსვენებით
ისმის რიონის ნანა.
გლეხის ქოხიდან მომაქვს
შენთან სალამი ძმური;
ყველა ადიდებს შრომას
საყვირი, სალამური...
გიგანტიური წიგნი.
რევოლიუციის ენა;
ძველი მზე ჩაესვენა,
მუშა მეფეა, იცით?!

არნო ონელი



გათენება ოქტომბერით.

საუკუნეთა დაღლილ სახეებს
ეფარებოდა სიშავე ღამის.
ახმაურებულ დღეთა რკალებით
მოაქროლებდა მრავალ ტკივილებს;—
გადაეხურა ბებერ ქვეყანას
ურცხვი მტარვალის წამოსასხამი
და ძმათა მკერდებს სისხლის სადენათ
ხანჯლის წვერებით უხსნიდა ღილებს...
აქ აღვირ ახსნილ ცხენთა ჭენებამ
ნახა საზღვარი აუტანელი,
სადაც დაღვრილი სისხლით გამურა
გამეტებული შუბლის კედარო;—
აჯანყებულთა ხმამ გაიელვა
დაუნდობელი ცეცხლის დანთებით
და წინ გასწია გამარჯვებისკენ
ახლად შობილი წითელ მხედარით...
დაღლილ რუსეთმა პარიზის შემდეგ
მაინც იწამა დათრობა სისხლით,
ოქტომბრიის დღეებს გადაალია
თანასწორობის ბოლო სურვილი,
გახარებულმა ჩასცა მახვილი
სამარადისოთ აცდენილ სირცხვილს
და ჩამოჭხია სიშავის რიდე
მონობისათვის ჩამობურვილი.
ამ გათენებამ წითელ მებრძოლებს
ოფლში ნაბანი შეუშრო გული,
აამღელვარა ერთ დიად მიზნით
საგაზაფხულოდ მტკიცედ დარაზა,
წინ გაუძღოლა უძლევი რაში
წითელ ალმურში გაბრწყინებული,
და დაჩაგრულებს სიბნელის ნაცვლად
[illegible]

პოემიდან, „ევროპა“

ასე სტიროდა ბანკირის ცოლი.

რა დღეს მოვესწარ,
რას ხედავს თვალი,
სულ აყირავდა მთელი
სამყარო,
და ახლა ბედმა უნდა ამყაროს,
მე უფლებები ბედნიერ ქალის.
ვემშვიდობები ფერად სალონებს.
გული სევდებით
გაბასრულია,
რომ ეს ქვეყანა
რჩება სრულიად,
ბრბოს შავ სისხლიანს,
ჩაქნაგულ მონებს.
მოტყდა სურვილი
და გამდიდრება
და მეც სულ მოვტყდი
დაუდგრომელი,
ვეძიო სხვაგან
მხარე რომელი,
და დაკარგული
ჩემი დიდება!
გუშინ წინ, ღამე
დახვრიტეს ქმარი,
სათუთი მკერდი ტყვიამ
დახია.
ჯალათობაზე ეს მეტიც არი,
ისიც არ ვიცი
თუ სად მარხია!
ჰე, ვეღარ ვნახავ, საბრალო ქმარი!..
თვალის ქუთუთოს
სწვავს ცრემლის ღვარი.
არ, აღმოუჩნდა
არვინ დამხმარე,—
რომ გაეწყვიტა
ჯაჭვების რგოლი...
ასე სტიროდა
ბანკირის ცოლი.

იონა ვაკელ



ჩვენ არ დავსთმოგთ!..

ჩვენ არ დავსთმობთ! ჩვენ არ დავსთ[illegible]
არც ერთს წერტილს! არც ერთს მძიმეს
ჩვენ კისერზე არ დავიდგამთ
მონობისა უღელს მძიმეს!..

———

ჩვენ ურყევათ და მტკიცეთ გვწამს
ჩვენი ძალა, ჩვენი ღონე!..
ჩვენ მსოფლიოს არმია ვართ—
დაჩაგრულთა ხმის გამგონე!..

———

ერთი სიტყვა, ერთი აზრი
გვაფოფოლადებს შრომის ძალებს!..
ქვეყნად შრომის დასამკვიდრად
ვქმნით და ვრაზმავთ ჩაგრულ ჯარებს!..

———

რომ დავიხსნათ ეს სამყარო!...
დავამყაროთ ყველგან შრომა!..
და ძირშივე ჩავკლათ მტერთა
გესლიანი გულის წყრომა!

ბაგრატ ოჩანეშვ

ანატოლ ფრანს



ანატოლ ფრანს.

ათი დღე გრძელდებოდა აგონია, ათი დღის განმავლობაში ებრძოდა ბრძენი-მწერალი სიკვდილს, ათი დღის განმავლობაში რადიოს მოჰქონდა გულშემზარავი ცნობა: ანატოლ ფრანსი კვდება... ანატოლ ფრანსმა ცნობა დაჰკარგა...

და ბოლოს შეწყდა დიდი მწერალის მაჯისჯემა.

***

განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობენ ამ დანაკლისს საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები, რომელთა გულწრფელი მეგობარი და ქომაგი იყო ანატოლ ფრანსი.

მწერალმა, რომელმაც თავისი გესლიანი სატირის ობიექტათ გახადა ბურჟუაზიული წყობილება, დემოკრატია, მორალი, სარწმუნოება, მხოლოდ რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციის ჰექა-ქუხილში დაინახა ის ყოვლის გამწმენდი ძალა, რომელიც მოსპობს, გაანადგურებს თანამედროვე უკულმართ წესებს, საზოგადოებრივ წყობილებას, შექმნის ახალ სამყაროს, ახალ ადამიანს, რომლისკენაც ილტვოდა მუდამ ბრძენი მწერალი.

ორი უდიდესი მომენტი იყო ანატოლ ფრანსის ცხოვრებაში, როცა ასეთის სიმღერით გამოაშკარავდა მისი რევოლიუციონური, კეთილშობილი ბუნება.

პირველი იყო დრეიფუსის საქმე.

როცა მთელი საფრანგეთი, საზოგადოებრივი აზრი, რომელსაც კლერიკალები, იუნკრები და ბურჟუაზია ქმნიდა, ამხედრდა პატარა ებრაელი ოფიცერის და მისი შეუდრეკელი დამცველის ზოლას წინააღმდეგ, მხოლოდ ფრანსს აღმოაჩნდა გამბედაობა ე. ზოლასთან ერთად შებრძოლებოდა ანტისემიტების ხროვას.

მეორე მომენტი იყო ოქტომბრის რევოლიუცია. როცა პუანკარე და მისი დამქაშები ინტერვეციას აწყობდენ საბჭოთა რუსეთში, დახმარებას უწევდენ ესერებს, პოლონეთსა და სხვადასხვა „უმაღლეს მმართველებს“, ანატოლ ფრანსი საფრანგეთის მეორე სახელოვან მწერალ ანრი ბარბიუსთან ერთად თავ გამოდებით იცავდა მშრომელთა სახელმწიფოს.

***

ერთის შეხედვით, თითქო მართალია ის ბრალდება, რომელსაც ფრანსს უყენებდენ: „ფრანსი წარსულში არისო“.

მაგრამ ვისაც გულმოდგინეთ წაუკითხავს ფრანსის ნაწერები, მას ესტეტიურ დატკბობასთან ერთად უგრძვნია, რომ წარსულის სახეები მხოლოდ ნიღაბია თანამედროვე ცხოვრების მახინჯი მხარეების გამოსახატავად.

და თითქო იმისთვის, რათა დაემტკიცებია ბევრისათვის, რომ ისინი სცდებიან, როცა მას წარსულს აკუთვნებენ, ფრანსმა დასწერა ევროპის „თანამედროვე ისტორია“ (1897—1900 წ.), რომელშიც გაანადგურა, მიწასთან გაასწორა მესამე რესპუბლიკის „წმინდათა წმინდა“— დემოკრატია, პარლამენტი, სარწმუნოება.

მან შექმნა ბურჟუაზიული წყობილების ფაუსტი—ბ-ნი ბერჟერე, შორს მჭვრეტელი, ბრძენი, რომელიც ჩასწვდა თანამედროვე სოციალურ ურთიერთობათა სიღრმეს, მიაგნო საზოგადოებრივი ცხოვრების მამოძრავებელ ძალებს.

დაინახა რა თანამედროვე ცხოვრების უკულმართობა, ანატოლ ფრანსმა შეიძულა იგი.

არც ერთი მწერალი არ ისწრაფვოდა ასე ახალი წყობილების ხილვისაკენ, არავის არ სწყუროდა ასე ძლიერად გაკეთილშობილებული კაცობრიობის ხილვა, როგორც ფრანსს.

რომანში „თეთრ ქვაზე„ ჩვენ ვხედავთ ფრანსის ამ წყურვილს.

ადამიანის თვალწინ იცვლებიან კაცობრიობის ცხოვრების სურათები: ქვის საუკუნე, კულტურის განთიადი, ძველი რომი და საბერძნეთი, თანამედროვე ბარბაროსული წყობილება. და ბოლოს მომავალი კომუნისტური წყობილება (2270 წ.).

„პინგვინების კუნძულში“ მან გამოაშკარავა ის მოხერხებული მექანიკა, რომლის წყალობით გაიძვერები, მდიდრები და მღვდლები ტყავს აძრობენ მშრომელ ხალხს.

1912 წ. მან დასწერა თავისი რევოლიუციონური რომანი „ღმერთებს სწყურიათ“. ამ რომანში ის უფრო უახლოვდება მსოფლიოს გარდაქმნის რეალურ პრობლემებს.

1914 წ. სწერს „ანგელოსების აჯანყებას“— ულმობელ, გესლიან სატირას ბნელეთის სამყაროზე.

1914 წ. არის მიჯნა, ა. ფრანსის ცხოვრებაში, როცა ის ასე ახლო მივიდა რევოლიუციასთან, ვ. ლენინთან, ჰანრი ბარბიუსთან და სხვებთან აღიმაღლა ხმა იმ საშინელების წინააღმდეგ, რომელსაც მსოფლიო ომი ეწოდება.

და როდესაც რუსეთის რევოლიუციაში გაიმარჯვა ლენინმა, ის პირველი იყო, რომელიც მიესალმა ამ რევოლიუციას და თავგამოდებით იცავდა მას იმპერიალისტებისა და ყვითლების ხროვის იერიშებისაგან.

***

მიმდინარე წლის 16 აპრილის მთელმა კულტურულმა კაცობრიობამ და საბჭოთა კავშირის მშრომელმა მასებმა იდღესასწაულეს ანატოლ ფრანსის დაბადების 80 წლის თავი.

ეს იყო პაციფიზმის ხანმოკლე ეპოქის დასაწყისში, როცა ინგლისის მუშა მთავრობას სათავეში ჩაუდგა მაკ-დონალდი, ბ-ნი ერიო კი ემზადებოდა პრემიერ-მინისტრობისათვის.

„დემოკრატებმა“ და “სოციალისტებმა“ ვერ დაამყარეს მშვიდობიანობა ევროპაში, ბურჟუაზიამ გადააყენა მუშათა მთავრობა, ევროპაში კვლავ ძლიერდება მუშათა მოძრაობა და ვინ იცის, შორს არის იქ ოქტომბერი?

ა. ფრანსი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ოცნებობდა მომავალ წყობილებლებაზე და მხოლოდ ცხოვრების უკანასკნელ წლეებში იხილა იგი.

თითქო თავისთავი ყავდა მხედველობაში, როცა „ეპიკურის ბაღში“ სწერდა:

„მე ვარსებობ—ის არ არის, ის მოვიდა—მე არა ვარ“.

ენ.



მეცნიერება და ტეხნიკა

საჰაერო ფლოტი წარსული და მომავალი ომის დროს.

1914 წლის დასაწყისისათვის, როცა იფეთქა მსოფლიო ომმა, ადამიანი მხოლოდ იწყებდა ჰაერის დაპყრობას. მაგრამ ომის საჭიროებამ გამოიწვია ავიაციის სწრაფად განვითარება.

1914 წლის ომმა ხელი შეუწყო საომარი ტეხნიკის სწრაფად განვითარებას. მან უპირატესობა მიანიჭა მსუბუქ და სწრაფმავალ აეროპლანს მძიმე და უზარმაზარი დირიჟაბლის წინაშე.

აუარებელი შრომა დაიხარჯა ომის დროს საჰაერო ფლოტის შექმნაზე. ომის განმავლობაში მებრძოლმა სახელმწიფოებმა ააშენეს 175.000 აეროპლანი და 200 ათასზე მეტი აეროპლანის მოტორი.

პირველ ხანებში ავიაციის ომში ძალიან პატარა მნიშვნელობა ჰქონდა. აეროპლანები ასრულებდენ მხოლოდ მზვერავის მოვალეობას. შემდეგ აეროპლანებიდან დაიწყეს სპეციალური ნემსის მაგვარი ლითონის ისრების გადმოყრა; შემდეგ აეროპლანზე დასდგეს ტყვიისმფრქვეველი. აეროპლანი მზვერავიდან გადაიქცა ბრძოლის საშვალებათ, ჰაერიდან თავდასხმის საშვალებათ.

თითოეული მოქმედება იწვევს უკუმოქმედებას, ასეთია ფიზიკის კანონი. აეროდან თავდასხმის მოგერიება შეიძლება მხოლოდ ჰაეროპლანის ჩამოგდებით. მებრძოლი მხარეები სწრაფად შეუდგენ სამხედრო საჰაერო ფლოტის შექმნას, რომ თანასწორი ძალებით შებრძოლებოდენ ერთმანეთს ჰაერში.

თუ რა მძაფრი ხასიათი ჰქონდა საჰაერო ბრძოლას, ამას ყველაზე უკეთესათ ამტკიცებს ის ფაქტი, რომ ომის განმავლობაში დაიღუპა და იძულებული იყო დაშვებულიყო და დანებებოდა მტერს 19000 აეროპლანი. მარტო ინგლისის სამხედრო აეროპლანების ფრენის ხანგრძლივობა ომის განმავლობაში უდრის ერთმილიონ საათზე მეტს, ანუ 42,000 დღეღამეს. ომის განმავლობაში გადმოყარეს ჰაერიდან 755000 ბომბა, წონით 377.000 ფ.

უფრო ფართედ და ყოველმხრივ იქნება გამოყენებული საჰაერო ფლოტი იმ ომებში, რომელსაც კაპიტალისტური სახელმწიფოები უმზადებენ კაცობრიობას.

ომის დასაწყისში უმაღლესი წერტილი, რომლის მიღწევა შეეძლო აეროპლანს, მდებარეობდა დედა-მიწიდან 6.300 მეტრის მანძილზე. ომის განმავლობაში ეს მანძილი 7770 მეტრამდი გაიზარდა.

1923 წელს კი ფრანგმა მფრინავმა. სადი ლეკოენტმა 11.145 მეტრს*) მიაღწია. ასეთი სიმაღლის მიღწევა საშვალებას აძლევს მფრინავს გადაურჩეს დედამიწიდან საარტილერიო ცეცხლს, უფრო მეტის წარმატებით აწარმოოს ბრძოლა მოწინააღმდეგესთან. გარდა ამისა ასეთ სიმაღლეზე მფრინავ აეროპლანის შემჩნევა დედა-მიწიდან არც ისე ადვილია.

გაფრენის სისწრაფე 1914 წლის დასაწყისში უდრიდა 240 ვერსს საათში, ეს ციფრი



ფარმანის სისტემის აეროპლანი.

მაშინ სარეკორდო იყო, რადგან აეროპლანების ჩვეულებრივათ საშუალო საათში გადიოდენ 160 ვერსს.

1923 წ. აეროპლანებმა შესძლეს საათში 425 ვერსის გავლა. საშუალო სისწრაფე კი ამჟამად უდრის 250—300 ვერსს. ასეთი სისწრაფე საშვალებას მისცემს მეომარ მხარეებს სწრაფად გადალახონ საზღვრები და ისეთ ადგილას დაესხან თავს ერთი მეორეს, სადაც ამას ყველაზე ნაკლებ მოელიან.

*)11 ვერსზე მეტი.

გაიზარდა აგრეთვე ფრენის ხანგრძლივობაც. ამჟამად აეროპლანს შეუძლია მიწაზე დაუშველათ იფრინოს 37 საათი და 15 წუთი, რაც საშვალებას აძლევს მფრინავს გაიაროს 500 მეტი ვერსი, შემოიაროს მთელი საბჭოთა კავშირის მთავარი ქალაქები.

1914 წლის აეროპლანს შეეძლო წაეღო სამი ფუთი ტვირთი, ამ ჟამათ კი შეუძლია წაიღოს 124 ფუთი და იღებენ ზომებს, რომ აეროპლანის დატვირთვა 300 ფუთამდი გაადიდონ.

ადვილი წარმოსადგენია თუ რა ზიანის მიყენება შეუძლია აეროპლანს, რომელიც დატვირთული იქნება სამასი ფუთი მხრჩოლავი გაზით სავსე ბომბებით.

ამერიკელ სპეციალისტების გამოანგარიშებით, ას აეროპლანს, მხრჩოლავ გაზიანი ბომბით შეიარაღებულს, შეუძლია ერთი საათის განმავლობაში ამოხოცოს თანამედროვე დიდი ქალაქის მთელი მოსახლეობა.

ამრიგათ ავიაცია, რომელიც წინად დაზვერვის უბრალო იარაღს წარმოადგენდა, „ქიმიასთან შეერთებული“ გადაიქცა თავდასხმისა და შეტევის მძლავრ იარაღად.

„ავიაცია, შეერთებული ქიმიასთან“ სპობს ფრონტებს და ბრძოლის ასპარეზი გადააქვს ქვეყნის შიგნით: მხრჩოლავ გაზით სავსე ბომბებით შეიარაღებულ აეროპლანებს შეუძლია მოსწამლოს მთელი არმიები და უდაბნო აქციოს მთელი ოლქები.

ომის საქმის ასე დაყენების დროს, მხრჩოლავი გაზებით ომის დროს, სიკვდილის განადგურების საფრთხე მოელის თითეულ დასახლებულ პუნქტს, თითეულ მცხოვრებს, ფრონტი არსად არ იქნება და ყველგან იქნება.

ასეთი საშინელებას უმზადებენ კაცობრიობას კაპიტალისტები და იმპერიალისტები.

რევოლიუციონურ მხატვრული ცხოვრება გერმანიაში.

ამ რამოდენიმე ხნის წინათ მოსკოვში ჩამოვიდენ „გერმანიის ხელოვანთა კომუნისტური გაერთიანების“ („წითელი ჯგუფის“*) წარმომადგენლები. გაზეთების თანამშრომლებთან საუბარის დროს ჩამოსულმა ამხანაგებმა ბევრი საინტერესო ცნობები მოიყვანეს გერმანიის რევოლიუციონურ-მხატვრული ცხოვრების შესახებ.

„წითელი ჯგუფის“ პრეზიდიუმის წევრები.

ზევით ამხ. ო. ნაგული, ქვევით ამხ. ე. იოგანსონი, რომლებიც წითელი ჯგუფის დავალებით ჩამოვიდენ ვოსკოვში საბჭოთა კავშირის ხელოვანებთან კავშირის დასაჭერად. ორივე მუშათა წრიდან არის გამოსული. მათი ინიციატივით ლენინგრადსა და მოსკოვში ეწყობა გერმანიის რევოლიუციონური ხელოვნების გამოფენა.

მიუხედავათ სასტიკი დევნისა პოლიციის მხრივ, გერმანიის პროლეტარიატის მოწინავე ნაწილი ენერგიულად, დაუღალავად მუშაობს რევოლიუციონური ხელოვნების შესაქმნელად, რომელიც გამოხატავს მუშათა კლასის ყოფა-ცხოვრებას და ბრძოლას.

ამ მხრივ მთავარი ინიციატივა არის გერმანიის კომპარტიის ხელში, რომელმაც ც. კ.

*) ამ ჯგუფის ამოცანები მოკლეთ გვქონდა აღნუსხული „ჩირაღდანი“-ს წინა ნომერში.

საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებასთან მოაწყო სამხატვრო სექცია, ე. წ. „წითელი ჯგუფი“, რომელიც აკავშირებს ყველა კომუნისტ-ხელოვანებს.

„წითელმა ჯგუფმა“ მოამზადა რამოდენიმე მოძრავი თეატრალური დასი, რომელსაც შეუერთდა მრავალი გამოჩენილი მსახიობი. გარდა ამისა, დიდ მუშათა რაიონებში არსებობენ მრავალი თეატრალური წრეები, რომლებიც ყოველ ღონისძიებას ხმარობენ ძველი თეატრის განსადევნათ და ახალი მუშური, რევოლიუციონური თეატრის შესაქმნელათ. ასეთ წარმოდგენებზე აუარებელი მუშები იყრიან თავს. მაკალითად „წითელი ჯგუფის“ მიერ ღია ჰაერზე გამართულ წარმოადგენს 60.000 მუშა ესწრებოდა.

მაგრამ პოლიციის გაფთრებული რეპრესიები ძლიერ უშლიან ხელს „წითელი ჯგუფის“ მუშაობას.

გერმანიის კაპიტალისტების ტყვე.



ერიხ მიუზამი.

ცნობილი გერმანელი პროლეტარული მწერალი, რომელსაც სოციალ-დემოკრატ ებერტის სასამართლომ 15 წლის ციხე მიუსაჯა. ამ ჟამად ნიდერშენფელდის (ბავარია) ციხეში იმყოფება, სადაც მრავალი წლების განმავლობაში აწამებდენ გერმანიის მეორე პროლეტარულ მწერალს ერნსტ ტოლერს, ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის წევრს. ლენინისადმი მიძღვნილი ლექსის დაწერისათვის ე. მიუზამი სამი კვირით კარცერში ოთავსეს.

საერთოდ თეატრის სფეროში, გერმანელ მუშას ყველაზე უფრო მოსწონს პოლიტ-სატირა.

მაგრამ რევოლიუციონური შემოქმედების ბრძოლა ბურჟუაზიულ ხელოვნებასთან არ განისაზღვრება მარტო ძველი თეატრის განდევნით. უკანასკნელ ხანებში ის ბრძოლა რევოლიუციონერ და ბურჟუაზიულ ხელოვნების შორის შეიჭრა ბერლინის ცენტრალურ თეატრშიც. მრავალი მსახიობები უკვე შეურთდენ „წითელ ჯგუფს“.

ბიბლიოგრაფია

ნ. ზომლეთელი ლექსების პირველი წიგნი.

გამოვიდა ნ. ზომლეთელის ლექსების პირველი წიგნი. ყურადღებას იქცევს ლამაზი გამოცემა. წიგნში შედის ლექსები დაწერილი 1917 წ.—1923 წ. წიგნი იხსნება ავტორის წინასიტყვაობით. „მთელი ჩემი სასოება მომავალში იყო. მომავლის გამარჯვება მუდამ თავის საკუთარ გამარჯვებათ მიმაჩნდა იმავე დროს“. ეს წინა თქმა პოეტმა გაამართლა თავისი ცხოვრებით.

მისი პირველი წიგნი უსათუოდ კარგი საჩუქარია მკითხველი საზოგადოებისათვის. ნ. ზომლეთელი ნიჭიერი პოეტია. ეს ნიჭი არა ერთხელ დაუდასტურებია მას. წიგნის გამოცემამდეც სწყდება საკითხი წიგნის ავტორი არის თუ არა პოეტი.

ლექსები: „შემოდგომა“, „ქალაქი“. „მშვიდობა ქოხებს“, „ქორწილი უჩვეულო“, „დილა შრომის უბანში“, „ჩვენს ქუჩას“ სამარადისოდ დარჩებიან ქართულ სიტყვა კასმულ მწერლობაში. ამ ლექსებში არის მოცემული პოეტის მიერ მშრომელი ხალხის შრომა და ბრძოლა. ნ. ზომლეთელი შეუდარებელია აგრეთვე ბუნების აღწერვში:

„ყვავილები, ყვავილები“...
ფოთლები და მოლი...
იქით მთიდგან დაშვებული
ცივი ცრემლის ზოლი...
ტყეში ჩრდილი, სოფლის გზაზე—
ალმური და მტვერი,
გზის პირას კი—ყვავილები
ისევ მრავალ ფერი!!.

კარგია ლექსი „მეფე ლირის სიმღერა“.

ლექსი: „საქართველო“—მოზაიკური სურათი თავისი მხატვრობით, ორიგინალობით და მუსიკალობით ყოველთვის დარჩება—ერთ საუკეთესო ლექსად.

პოეტის ბრძოლის და შრომის პოეზია მდიდარია როგორც ფორმით ისე შინაარსით. მან შეიტანა ლირიკა ბრძოლის სიმღერაში: დღეს ნ. ზომლეთელი სულ ახალ გზას ადგია. მას ამღერებული აქვს ქარხანა, როგორც არავის და ამაშია მისი სიძლიერე: „რერა, რერა,

გრდემლს ჩაქუჩი დაეძგერა
და გაისმა ეს სიმღერა:
რერა, რერა!
საბერველი ბღვერს და ქშინავს,
გიზ-გიზ ცეცხლში შანთი ბრწყინავს,
სპედს მჭედელი: არტყამს ეროს.—
ჟანგით ასე გაიმეროს...“

საბიბლიოგრაფიო წერილში არ შეიძლება პოეტის გარჩევა. გარჩევა შემდეგ.

ი. ვაკელი.

კინო

რუსეთი.

როგორ მუშაობენ ბოლშევიკები. სურათი „როგორ ამაგრებენ ბოლშევიკები მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს“ დამთავრებულია და მას უჩვენებენ მოსკოვის მუშათა უბნებში.

„შავი საქმე“. გოსკინომ შეიძინა ი. ტარიჩინის სცენარი „შავი საქმე“. სცენარი ხატავს სოფლის ყოფა-ცხოვრებას, კლასობრივ ბრძოლას სოფლათ (სოფლის კორესპოდეტის მოკვლა).

„რევოლიუციის ვეტერანები“. სევზაპკინოს მოსკოვის განყოფილების სოციალური ქრონიკის სექცია ამზადებს მეტად საინტერესო სურათს „რუსეთის რევოლიუციის ვეტერანები“. მაყურებელის წინაშე—მებრძოლი რევოლიუციონერები: ვერა ფიგნერ, აშენბრენერ, ფროლენკო, ნოვორუსსკი და სხვ.

„ფიზკულტურა საბჭოთა კავშირში“. სევზაპკინო ამზადებს სურათს „ფიზიკური კულტურა საბჭოთა რუსეთში“.

„მტერი“. გოსკინო ამზადებს სურათს „მტერი“ (ოჯახური უთანხმოების პრობლემა—შვილი რევოლიუციონარი, მამა თეთგვარდიელი პოლკოვნიკი).

სურათები ჩინეთის ცხოვრებიდან. გოსკინოს განზრახვა აქვს დასდგას რამდენიმე სურათი ჩინეთის ცხოვრებიდან.

„რობინ გუნდ“. სევზაპკინომ შეიძინა ცნობილი ამერიკელი რეჟისიორის დუგლას ფეიერბანკსის მიერ დადგმული ისტორიული ლეგენდა „რობინ გუდ“.

ბორის სავინკოვი ეკრანზე. გოსკინომ დასდგა სურათი-შარჟი „ერთი იმედის გაცრუების ისტორია„ (ბორის სავინკოვი).

„ჩვენ ვაშენებთ, ჩვენ ვცხოვრობთ“. პროლეტკინო მშენებელთა კავშირის ც. კ. დავალებით სდგამს სურათს: „ჩვენ ვაშენებთ, ჩვენ ვცხოვრობთ“.

„ამერიკა“. ცნობილი ამერიკელ რეჟისორის გრიფიცის მიერ დადგმული სურათი „ამერიკა“ მიიღეს მოსკოვში. სურათი ხატავს ამერიკის დაპყრობას.

„ხელები შორს ჩინეთისაგან“. გოსკინო ამთავრებს პოლიტ-შარშის „ხელები შორს ჩინეთისაგან“ დადგმას.

„ახალი ეკონომიური პოლიტიკის ქსელში“. გოსკინომ გადაიღო სურათი „ახალი ეკონომიური პოლიტიკის ქსელში“ (ისტორია წითელი დირექტორის, რომელიც ჩაითრია ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ, შემდეგ გამოსწორდა და უბრალო მუშათ დაბრუნდა ქარხანაში).

მეცნიერული სურათები. გოსკინოს დავალებით ექიმებმა გალკინმა და სუხარევსკიმ დასწერეს სცენარები ორი დიდი მეცნიერული სურათისთვის „სიფილისი“ და „ტუბერკულიოზი“.

ამერიკა.

კინო-აკადემია. ნიუ-იორკში მოკლე ხანში გაიხსნება კინო-აკადემია. აკადემიას

ფინანსიურ დახმარებას უწევს რამდენიმე მსხვილი კინო-ფირმა.

„მტვრიანი ზამბახი“. კინო ფირმამ „პარამუნ“ დადგა სურათი „მტვრიანი ზამბახი“ სურათის სიუჟეტი აღებულია გერმან ზუდერმანის რომანიდან. სურათი დასდგა დიმიტრი ბუხოვეცკიმ. მთავარ როლს ასრულებს ცნობილი მსახიობი ქალი პოლა ნეგრი. ამერიკელი ჟურნალების ცნობით, ეს საუკეთესო სურათია ცნობილი მსახიობის მონაწილეობით.

ახალი სურათი ჩარლი ჩაპლინის მონაწილეობით. ცნობილი კომიკის ჩარლი ჩაპლინის მონაწილეობით დაიდგა ახალი სურათი „ოქროს მოტრფიალენი“.

პალესტინა ეკრანზე. ამერიკელმა რეჟისორმა გარრი საუსველმა დაამთავრა პალესტინაში ზოგიერთი სცენების გადაღება სურათიდან, რომელიც ხატავს მეფე დავითის ცხოვრებას. მან სხვათა შორის გადაიღო სცენები ომარის მეჩეთში, რომელიც მუსლიმანების წმინდა ადგილათ ითვლება.

ამერიკელების კინო-თეატრები ევროპაში. ამერიკული ფინანსისტები პარიზნს ცენტში ხსნიან ახალ კინო-თეატრს, რომელიც დაიტევს 4.500 კაცს. ასეთივე კინო-თეტრს ისინი აშენებენ ლონდონშიც.

ყველა თეატრის პატრონებო შეერთდით! ამერიკულ კინო-ჟურნალი „ფილმკურიერ“ ცნობაში ზემოდ მოყვანილი სათაურით იუწყება, რომ ამერიკის თეატრების პატრონებს გადაწყვეტილი აქვთ მომავალი წლის მაისში მოიწვიოს თეატრის პატრონების მსოფლიო კონგრესი.

„გულივერის მოგზაურობა“ ეკრანზე. ერთი ამერიკული კინო-ფირმა შეუდგა „გულივერის მოგზაურობის“ გადაღებას. სურათისათვის საჭიროა ლილიპუტები, ამისათვის ფირმამ დაგზავნა აგენტები მთელს ამერიკაში ლილიპუტების აღმოსაჩენათ. დღემდის იპოვეს 30 ლილიპუტები.

„მაწანწალას ნაამბობი“. კინო-ფირმამ „ლოსდენ პროდუქციონ“ შეიძინა ცნობილი ამერიკელი მწერლის ო. გენრის ქალიშვილისაგან მისი მამის მოთხრობების „მაწანწალას ნაამბობის“ დადგმის უფლება.

თეთრი ინდიელები ეკრანზე. ერთ-ერთი კინო-ფირმის ექსპედიციამ სამხრეთ-ამერიკაში აღმოაჩინა თეთრკანიანი ინდიელები.

„დაკარგული ქვეყანა“. ამერიკული კინო-ფირმა „ფირნსტ ნაციონალ“-ი სდგამს კონან-დოილის რომანს „დაკარგული ქვეყანა“. ამ სურათისათვის ამზადებენ უძველესი ხანის ცხოველების და ფრინველების მოდელებს.

„ის, ვისაც აწნავენ სილას“. ლეონიდ ანდრეევის პიესას „ის, ვისაც აწნავენ სილას“ სდგბას ფირმა „მეტრო-გოლდვინ მაიერ“.

გერმანია.

გედდა გაბლერ. ახლო ხანში „ნაციონალ-ფილმ“ დგამს სურათს „გედდა გაბლერ“ იბსენის მიხედვით. მთავარ როლს შეასრულებს ცნობილი მსახიობი ქალი ასტა ნილსენ.

ნიაში შემოტანილია უცხოეთიდან 448.000 მეტრი სურათი, თვით გერმანიაში კი დამზადებულია 360.000 მეტრი.

არქივის დაღუპვა. „დერ ფილმ“ იუწყება, რომ ბერლინში დაიღუპა ომის დროს გადაღებული ყველა სურათები.

მარტივი კინო-აპარატი. გერმანულმა ფირმამ „ლანდლიხტმა“ დაამზადა ახალი მარტივი აპარატი კინო-სურათების გადასაღებათ.

წიგნები ჩარლი ჩაპლინზე. ცნობილი ამერიკელი კომიკის ჩაპლინის პიროვნება დიდ ინტერესს იწვევს გერმანიაში. სულ მოკლე ხანში გამოვიდა სამი წაგნი მის შესახებ: ლ. ა. გერმანის—„ჩაპლინის ჯადოსნური ნიჭი“, 2 მ. ფიბერ—„ჩაპლინ“, 3. განს სიმსენ—„ჩარლი ჩაპლინი“.

მარქს ლინდერი. ბერლინში უჩვენებენ ახალ სურათს მარქს ლინდერის მონაწილეობით „ცირკის მეფე“. სურათი გადაღებულია წრეულს ვენაში.

ავსტრია

„სალამბო“ ცნობილი ფრანგი რეჟისორი პიერ მარეფონ ამზადებს დიდ სურათს „სალამბო“, გუსტავ ფლობერის რომანის მიხედვით.

მუსიკა

რუსეთი

ახალი ოპერა. კომპოზიტორმა ლურიემ დაამთავრა ახალი ოპერა. სიუჟეტი აღებულია ნ. გოგოლის მოთხრობიდან „ცხვირი“.

უკრაინა

ეონ პეტრი. 22 ოქტომბერს მოსკოვში ჩავიდა ცნობილი პიანისტი ეგონ პეტრი.

არგენტინა

ნინა კოშიც. ცნობილი მომღერალი ქალი ნინა კოშიც, რომელსაც კარგათ იცნობს თბილისის საზოგადოება. ამ ჟამად არგენტინაში იმყოფება.

თეატრი

რუსეთი

ლენინის ქალაქი. ნ. ვინოგრადოვი და ს. სპასსკი სწერენ პიესას, რომელიც მიზღვნილი იქნება რევოლიუციონური ლენინგრადისადმი—„ლენინის ქალაქი“. პიესა დაიდგმება ოქტომბრის დღესასწაულების დროს.

„მეეფები და კომბოსტო“. პროლეტმწერლებმა პ. არსკიმ და ჟიჟმარმა კომედიათ გადააკეთეს ამერიკელი მწერალის ო. გენრის რომანი „მეფეები და კომბოსტო“.

„მიწა იწვის“. ივანიჩმა დასწერა რევოლიუციონური პიესა „მიწა იწვის“, რუსეთში სამოქალაქო ომის პირველი თვეების ისტორიიდან. პიესა დაიდგმება რევოლიუციის თეატრში.

„ემელიან პუგაჩევ“. ვასილი კამენსკის ახალი პიესა „ემელიან პუგაჩევ“ დაიდგმება

კლემპერერის ჩამოსვლა. ნოემბრის 10 რიცხვებში მოსკოვში მოელიან ცნობილ გერმანელ დირიჟიორ ოტტო კლემბერერს. ევროპის მთელი პრესა მსოფლიოს ერთ-ერთ გამოჩენილ დირიჟიორათ თვლის.

რობინდრანატ თაგორის ლექსები მუსიკად ლენინგრადის კონსერვატორიის პროფესორმა შტეინბერგმა დასწერა ოთხი ახალი რომანსი, სიტყვები—ცნობილი ინდოელი მწერალის რობინდრანატ თაგორის.

ბალეტი „Бежин луг“. კომპოზიტორმა პროკოფიევმა დასწერა ბალეტი. სიუჟეტი აღებულია ტურგენევის მოთხრობიდან „Бежин луг“.

„დეკაბრისტები“. მეიერბერის ოპერა „გუგენოტები“ გადაკეთებულია რევოლიუციონურ ოპერათ „დეკაბრისტები“.

ბალეტი „წითელი გრიგალი“. ოქტომბრის დღესასწაულების დროს ლენინგრადში დაიდგმება ახალი რევოლიუციონური ბალეტი „წითელი გრიგალი“ („ბოლშევიკები“).

ლიტერატურა

◆ **„ვლადიმერ ილიჩ ლენინ“.** მაიაკოვკიმ დასწერა ახალი პოემა „ვლადიმერ ილიჩ ლენინ“.

◆ **„ასირიის დედოფალი—ბოლშევიკი“.** ცნობილმა ინგლისელმა მწერალმა ბერნარ შოუმ დასწერა ახალი პიესა „ასირიის დედოფალი—ბოლშევიკი“

სპორტი

ყვითლების გავლენისაგან თავისუფლდებიან.

იმ კამპანიაში, რომელიც დაიწყო მსოფლიოს ყველა მუშათა სასპორტო ორგანიზაციებში ერთიანი ფრონტის სასარგებლოთ, განსაკუთრებულ აქტივობას იჩენს „ელზას ლორენის მუშათა სასპორტის კავშირი“. ეს ორგანიზაცია ოფიციალურად არ შედის წითელ სასპორტო ინტერნაციონალში, მაგრამ თავის მოქმედებაში სავსებით იცავს და ატარებს წითელი სპორტინტერნის მთავარ დებულებებ[ს] და ფაქტიურად არ ემორჩილება ყვითელ სასპორტო ინტერნაციონალს (რომლის ცენტრ[ი] შვეიცარიაში, ქ. ლიუცერნში არის). ამის გა[...] მო ლიუცერნის სპორტინტერნმა წინადადებ[ა] მისცა კავშირს მოიწვიოს კონფერენცია დ[ა] ბოლო მოუღოს „საზიზ მემარცხენე მიდრეკ[ი]ლებას“.

ყვითლების თვალთმაქცობა.

ვენაში შესდგა ლიუცერნის სასპორტო ი[ნ]ტერნაციონალის ბიუროს სხდომა, რომელმა[ც] განიხილა საკითხი ერთიანი ფრონტის შექ[მ]ნის შესახებ მუშათა სასპორტო მოძრაობაშ[ი]. ბიურომ პირველივე სხდომაზე გადასინჯა თ[ა]ვისი თეზისები და ისე, როგორც ყოველთვ[ის] თავის ამოცანად „აღიარა“ „კლასობრი[ვი] ბრძოლა ბურჟუაზიასთან“, მაგრამ ამავე დრო[ს] გამოიტანა დადგენილება ავსტრიის მუშა[თა]

შესახებ ფეხბურთელთა რაზმთან, რომელიც ნახევრად ბურჟუაზიისაგან შესდგება. ლიუცერნის სასპორტო ინტერნაციონალი ცდილობს მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს ბრჟუაზიასთან, რაც თვალს უხელს მუშებს, რომლებიც თანდათანობით შორდებიან მას.

ბრძოლა ერთიან ფრონტისათვის.

წითელი სასპორტო ინტერნაციონალის აღმასკომმა მიიღო ლიუცერნის (ყვითლების) სასპორტო ინტერნაციონალისაგან პასუხი წინადადებაზე ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ. ლიუცერნის სასპორტო ინტერნაციონალის ბიურო წინადადებას იძლევა, რომ წითელი სპორტინტერნის შემადგენელი ყველა ორგანიზაციები შევიდენ ლიუცერნის სპორტინტერნში. ლიუცერნის ინტერნაციონალმა კი მშვენივრად იცის, რომ ეს წინადადება მიუღებელია არა მარტო წითელი სასპორტო ორგანიზაციებისათვის, არამედ მის წინააღმდეგ ილაშქრებენ თვით ლიუცერნის ინტერნაციონალის გავლენიანი ორგანიზაციები.

ლიუცერნის სასპორტო ინტერნაციონალი არავითარ ანგარიშს არ უწევს მუშათა ფართე მასებს, რომლებით ენერგიულათ მოითხოვენ ერთიანი ფრონტის შექმნას სასპორტო მოძრაობაში.

ამასთან ერთად, ლიუცერნის სასპორტო ინტერნაციონალმა დაადგინა, რომ „მუშათა მსოფლიო ოლიმპიადაში“, რომელიც გაიმართება მოკლე ხანში ფარანკფურტში (გერმანია) მონაწილეობის მიღების უფლება აქვს მხოლოდ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც მას უშვერენ მხარს.

ეს გადაწყვეტილება მთლიანად მიმართულია წითელი სასპორტო ინტერნაციონალისა და მისი შემადგენელი ორგანიზაციების წინააღმდეგ.

ამის გამო წითელი სასპორტო ინტერნალის აღმასკომმა დადგინა გააძლიეროს პროპაგანდა და აგიტაცია მთელი მსოფლიოს მუშათა სასპორტო ორგანიზაციებში მათ დასარაზმვათ თავის გარშემო.

აღმასკომმა გამოუშვა მოწოდება ყველა სასპორტო მუშათა ორგანიზაციების მიმართ, რომელშიც აღნიშნავს, რომ მან მიიღო ყველა ზომები ერთიანი სასპორტო ფრონტის შექმნელად, მაგრამ ბიუროკრატები ლიუცერნის სასპორტო ინტერნაციონალიდან ცდილობენ ხელი შეუშალონ წითელი სასპორტო ინტერნაციონალისადმი სიმპატიების ზრდას მუშათა მასებში. შემდეგ მოწოდებაში აღნიშნულია, რომ ლიუცერნის ინტერნაციონალის ბრმა პოლიტიკის წყალობით ჩეხო-სლოვაკიის, საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის მუშათა სასპორტო ორგანიზაციები ვერ მიიღებენ მონაწილეობას „მსოფლიო მუშათა ოლიმპიადაში“, რომელიც ფაქტიურად უნდა წარმოადგენდეს მთელი მსოფლიოს მუშა-სპორტსმენტის მიღწევათა დემონსტრაციას და მასზე ნათლათ უნდა გამოიხატოს მუშათა მასების ლტოლვა ერთიანი ფრონტის შექმნისაკენ.

ნარევი

ჩარლი ჩაპლინის კონკურენტი.

ცნობილ ამერიკელ კინო-კომიკს ჩარლი ჩაპლინს, ამ ჟამად ლოს-ანჟელოსში (კალიფორნია, ამერიკა) მეტად საინტერესო საქმე აქვს სასამართლოში. ჩარლი ამადორის სახით მას გამოუჩნდა კონკურენტი, რომელიც კინო-სურათების გადაღების დროს სარგებლობს ისეთივე ტანსაცმელით და ნიღაბით, როგორითაც სარგებლობს მსოფლიოში ცნობილი ჩარლი ჩაპლინ.

ჩაპლინის მეტოქე ამტკიცებს, რომ ჩარლის არა აქვს რაიმე განსაკუთრებული უფლება ამ ტანსაცმელზე, რადგან ჯერ კიდევ 1890 წ. დიდი ხნით ადრე ჩაპლინამდი, ერთი კომიკი ჩიკაგოში წარმოდგენის დროს გამოვიდა ასეთივე ტანსაცმელით.

ამის და მიხედვით ბრალდებული შესაძლებელია გაამართლონ, თუმცა აშკარაა, რომ მას განზრახვა აქვს ისარგებლოს ჩაპლინის სახელით, რადგან აფიშებზე აწერს: „ჩარლი აპლინ“.

ცეცხლის ზღვა.

ერთმა გერმანელმა რეჟისორმა ტეგელერის ტბაზე სურათისათვის; რომელსმც ის დგამს, მოაწყო ცეცხლის ზღვა. ამისათვის ტბაში დაალაგეს ორასი ლიტრა ბენზინი და შემდეგ ცეცხლი წაუკიდეს. სცენარის მიხედვით, მომქმედ პირებს უნდა გაეცლოთ ამ ცეცხლის ზღვაში. მაგრამ ქარმა ცეცხლის ალი მოაბრუნა ნავიაკენ, საიდანაც იღებდენ სურათს. ორმა ოპერატორმა გრძნობა დაჭარგა სიცხისაგან და მხოლოდ რეჟისორის თანაშემწეს მოხერხებით გადარჩენ დაღუპვას.

ხელოვნების ქრონიკა.

◆ **ჯონ-რიდი.** გამოვიდა და იყიდება გალაქტიონ ტაბიძის პოემა: „ჯონ-რიდი“.

◆ **„ოქტომბერი“** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა პროლეტარულ მწერალთა კავშირის კრებული: „ოქტომბერი“ რომელსაც სცემს სახელმწიფო გამომცემლობა.

◆ **„წითელი ოქტომბერი“** გამოვიდა და იყიდება კ. გულიაშვილის პიესა: „წითელი ოქტომბერი“.

◆ **ვ. ბარნოვის ნაწერები.** სახ. გამომცემლობამ გადასწყვიტა გამოსცეს ვ. ბარნოვის ნაწერები ორ ტომად. მასალები წარედგინა რ. კალაძეს.

◆ **დ. კობიძის ლექსების წიგნი.** გამოვიდა და იყიდება პოეტის დ. კობიძის ლექსების პირველი წიგნი: „ლითონის ფრინველები“.

◆ **აჯანყება „აჯანყების“ წინააღმდეგ.** ნ. ინასარიძემ დასწერა კინო სცენარი სამ სერიად. აჯანყება—„აჯანყების“—წინააღმდეგ, რომელიც მიღებული იქნა სახ. კინო წარმოების დირექციის მიერ.

◆ **საქ. პროლეტკულტის ლიტ. სტუდიის კრებული: „რევოლიუცია“.** ოქტომბრის 7 წლის თავის დღესასწაულისათვის გამოვა საქ. პროლეტკულტის ლიტ. სტუდიის კრებული: „რევოლიუცია“.

◆ **„დაჭრის აჩრდილი ევროპაში“** 7 ნოემბერს წითელ თეატრში წარმოდგენილი იქნება პროლეტკულტის დრამ. სტუდიის ძალებით: „დაქრის აჩრდილი ევროპაში“. დ. კობახიძის რეჟისორობით.

◆ **„სამჭედლო“.** დ. კობახიძის რეჟისორობით დადგმული იქნება: პიესა „სამჭედლო“.

◆ **„პოემა „ევროპა“** იბეჭდება და ამ დღეებში წიგნად გამოვა იონა ვაკელის ახალი პოემა: „ევროპა“.

„ახალი კავკასიონი“ საქ. მწერალთა კავშირი აპირებს გამოუშვას ჟურნალი: „ახალი კავკასიონი“.

გრიმითი ქმედება. შოთა მანაგაძემ დასწერა: გრიმითი ქმედება, რომელიც გადაეცა სახლგამს გამოსაცემად.

„თეატრი და ცხოვრება“ ამ მოკლე ხანში გამოვა „თეატრი და ცხოვრება“ ჟურნალში იქნება იუმორისტული განყოფილება. სამ თვეში ერთხელ ჟურნალს ექნება დამატება: „ცხოვრების სარკე“ პიესების კრებული.

ჟურ. „მნათობი“ 7 ნოემბერს გამოვა ჟურ. „მნათობი“, ეს ნომერი მოძღვნილია ოქტომბრის 7 წლის თავის დღესასწაულისადმი.

„სამი სიცოცხლე“. სახ. კინო-მრეწველობამ დაამთავრა კინო-სურათი: „სამი სიცოცხლე“, რომელიც იქნება ნაჩვენები ადგილობრივ კინო-თეატრში.

მთავარი სახ. კომიტეტი. მთავარ სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა ამხ. სოსო გედევანიშვილი.

„ვარდია“ სანდრო ეულმა დასწერა დრამატიული პოემა: „ვარდია“.

კვაჭი კვაჭანტირაძე. სახ. კინო-წარმოების დირექციამ მიიღო კვაჭი კვაჭანტირაძის სცენარი შედგენილი ავტორის მიერ.

ახალი წიგნი. გამოვიდა და იყიდება პოეტი ნ. ზომლეთელის ლექსების I ტომი. წიგნი ლამაზი არის გამოცემული.

„ოქტომბერი“ პოლიტგანათლების მთავარ მმართველობამ გამოსცა კლუბებისათვის პიესების, ლექსების და სადეკლარაციო მასალების კრებული: „ოქტომბერი“.

„უდაბნოც სტირის“ გამოვიდა და იყიდება პროკოფი ჩხიკვაძის დრამა 5 მოქმედებათ. „უდაბნოც სტირის“.

ახალი კინო-მრეწველობა. თბილისში ამ ჟამად ეწყობა ახალი კინო მრეწველობის საააქციონერო საზოგადოება.

პროლეტკულტის კინო სტუდია. საქ. პროლეტკულტთან დაარსდა სტუდია, მაცადინეობა დაიწყება დეკემბრის შუა რიცხვებში.

სახ. კინო მრეწველობამ გადაიღო უკვე კინო სურათი „კოკარდა“ რომელიც ამ მოკლე ხანში იქნება ნაჩვენები—ადგილობრივ კინო თეატრში.

პროლეტკულტის თეატრი. პროლეტკულტის თეატრი ამ ჟამად ამზადებს მთელ რიგ ახალ პიესებს ამ სეზონისათვის: „გესმის მოსკოვო?“, „ცხვრის წყარო“, „აჩრდილი დაჭრის ევროპაში“. და სხვა.

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრ. განყ. 1-ლი სტამბა, პლეხ. პრ. № 91. მთავარლიტ № 2024. შეკ. № 640. დაიბეჭდა 11.500 ც.